პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ყოველკვირეული ორგანო

№ 35 (88), კვირა, 21 ოქტომბერი, 1945 წ. ფასი 1 მანეთი.

100 წელი
ნ. ბარათაშვილის
გარდაცვალებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ხალხის პოეტური გენია

დღეს საბჭოთა საქართველო და მასთან სამუდამო მეგობრობით შემტკიცებული მოძმე რესპუბლიკები აღნიშნავენ დიდი ქართველი პოეტის, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების ასი წლისთავს.

სრული ერთი საუკუნე გვაშორებს იმ დღეს, როცა სამუდამოდ ჩაქრა მშფოთვარე სული დიდი ჭაბუკისა, როცა შეწყდა მაჯისცემა მისი მადლიანი მარჯვენისა, რომელმაც 47-მდე ლირიკული ლექსის და ერთი ეპიური ნაწარმოების შექმნა მოასწრო. მოცულობით დიდი არ არის ეს მემკვიდრეობა, მაგრამ განუზომელია მისი იდეურ-მხატვრული ღირებულება, განუზომელია ღვაწლი უდროოდ დაკარგული მგოსნისა ქართული მწერლობის, ქართული კულტურის და აზროვნების წინაშე.

მარტოოდენ „მერანი", „შემოღამება მთაწმინდაზე" ან „ბედი ქართლისა" კმაროდა იმისათვის, რომ მისი დიდი ნიჭის მადლით აღბეჭდილიყო შემდგომი თაობების ქართველთა სულიერი ცხოვრება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იმედად მოევლინა საქართველოს მას შემდეგ, რაც ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიული ცხოვრების უღელტეხილი გადმოიარა — საბოლოოდ ზურგი შეაქცია უკვე მიძინებულ, მთვლემარე აღმოსავლეთს და რუსეთის გზით პირი იბრუნა დასავლეთის კულტურისა და ცივილიზაციისაკენ.

აი ამ ეპოქაში ქართული პოეზიის ცაზე ამოვიდა პირველი სიდიდის ვარსკვლავი — ნიკოლოზ ბარათაშვილი. მაგრამ იმდროინდელ „მაღალ" საზოგადოებაში ბევრს როდი აღმოაჩნდა შორსმხედველობა და გრძნობის სიმახვილე, რომ დაენახა ბრწყინვალება და ეგრძნო ცხოველმყოფელობა ამომავალი მნათობისა. მხოლოდ 50-იანი წლების დასასრულს ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრე ყმაწვილ-კაცობამ განსჭვრიტეს და შეიცნეს ძალა და მნიშვნელობა ნ. ბარათაშვილის პოეზიისა, რომელიც ილიას თაობისათვის იქცა „საწყაოდ ქართველი ერის შემძლებლობისა".

ბარათაშვილის შემოქმედებაში პირველად ილიამ დაინახა, რომ ქართველის გონებას კვლავ შესწევს ძალა ავიდეს აზროვნების მწვერვალზე, რომ ქართული სიტყვა არ ამოწურულა, რომ ქართულ ლექსს არ დაუკარგავს რუსთველის ლექსის სიბრძნე და ხატოვანება, რომ ქართული სიტყვით კვლავ შეიძლება გამოითქვას როგორც უნაზესი და უსათუთესი გრძნობები, სულის იდუმალი მოძრაობის შეუმჩნეველი ხვეულები, ისე დაუცხრომელი სულიერი მღელვარება, დაუდგრომელი სწრაფვა მიუწვდომელის მისაღწევად და გამოუცნობის გამოსაცნობად.

ნ. ბარათაშვილი ილიას და მის თაობას წარუდგა პოეტად, რომელსაც მომადლებული აქვს ნიჭი „მკაფიოდ და თვალნათლივ დაატრიალოს ჩვენი აზრი და ცნობის წყურვილი იმ თვალგადუწვდენელ სფეროში, სადაც ზოგადკაცობრიობის დაუსრულებელი საჭირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, სადაც ღაღადება ყოველგვარი სულისკვეთებისა და ვნებათა ღელვისა". (ი. ჭავჭავაძე) იმავე ილიას თქმით თავისი ღრმა აზროვანი პოეზიით ნ. ბარათაშვილმა ქართველის აზრს, ქართველის ჭკუა-გონებასა და გულისთქმას „დიდი განი და სიღრმე მისცა, კაცობრიულ წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დაეწაფა". ამრიგად, ბარათაშვილის დიდი გონებრივი შემძლებლობა ილიამ ქართველი ხალხის სულიერი აღორძინების მომასწავებელ და მანიშნობელ თვისებად აღიარა და იწამა ეს შემძლებლობა როგორც ქვაკუთხედი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა.

მაგრამ მხოლოდ ამით როდი იფარგლება ღვაწლი ბარათაშვილისა. ბარათაშვილი ახალი საუკუნის ის ქართველი პოეტია, რომელმაც ადამიანის შვილს უპირველეს მოვალეობად და უწმინდეს დანიშნულებად მშობელი ქვეყნის სამსახური დაუსახა. ყოფნა-არყოფნის რა მარადიული წუხილიც არ უნდა სტანჯავდეს კაცს, იგი როგორც შვილი ამა სოფლისა, მოვალეა მისდიოს მას: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".

და ბარათაშვილის შემოქმედების უდიდესი ღირსება სწორედ ის არის, რომ მან მამულის მომავალზე, სამშობლოს მერმისზე ფიქრით და ზრუნვით აღბეჭდა თავისი სულის უკეთესი ქმნილებანი. „სუმბული და მწირი", „საფლავი მეფის ირაკლისა" და „ბედი ქართლისა" მამულის უბედობით ტანჯული სულის აღსარებაა, გულისთქმაა იმ დიდბუნებოვანი მამულიშვილისა, რომელიც ცდილობს შეიცნოს „უკანასკნელი ივერიის სიმტკიცის სულის", — მხცოვანი გმირის, ირაკლის მიერ გადადგმული ნაბიჯის სიდიადე. ირაკლისადმი მიძღვნილ ლექსში ის სამართლიანად იწონებს მას ნაბიჯს, როგორც ერთად ერთ გონივრულ გამოსავალს იმ მძიმე ტრაგიკულ მდგომარეობიდან, რომელსაც შეიძლებოდა ქართველი ხალხის სრული ფიზიკური განადგურება მოჰყოლოდა. პოეტს ასულდგმულებს ის რწმენა, რომ ერთმორწმუნე დიდი რუსეთის მფარველობის ქვეშ ქართველი ერი დაეწაფება რა მშვიდობიან სამოქალაქო ცხოვრებას, აღადგენს კავშირს კულტურულ მსოფლიოსთან და კვლავ მოიკრეფს ძალებს დამოუკიდებლობის, თვითარსებობის აღდგენისათვის. ეს იყო ნ. ბარათაშვილის მიერ ისტორიულ პერსპექტივის სწორი განჭვრეტა, რაც მიიღეს და გაიზიარეს ქართული საზოგადოებრივი აზრის შემდგომმა მესვეურებმა.

ცხადია, მუხთალ ბედთან შერიგება არ შეეძლო ექადაგებია მძაფრი პროტესტანტული სულის მგოსანს, პოეტს, რომელმაც შეჰქმნა „მერანი" — ჰიმნი, აღვლენილი ადამიანის იმ ტიტანური სულისადმი, რომელიც სტიქიის ძლიერებით ამხედრებია საკუთარ ხვედრს, ბედისწერას და მისცემია დაუსრულებელ ქროლვას იმ რწმენით, რომ მომდევნო თაობებს გაუადვილოს სიძნელე გზისა.

„მერანსა" და „ბედი ქართლისაში" ნ. ბარათაშვილმა მიმოაბნია მადლიანი თესლი, რომელზედაც აღმოცენდა სამოციანთა პატრიოტული მწერლობა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა.

ნ. ბარათაშვილი არის სათავე არა მარტო ახალი ქართული მწერლობის ღრმა იდეურობისა, არამედ მხატვრული მეტყველების განახლებისა. თავის შემოქმედებაში გზა გაუხსნა რა მღელვარე ცხოვრებას მისი საჭირბოროტო კითხვა-პასუხით, ბარათაშვილმა უარყო აღმოსავლური მუხამბაზების და ბაიათების მონოტონური კილო, როგორც მოძველებული ფორმა ახალი იდეების გადმოსაცემად, მონახა ახალი განცდებისა და აზრების შესაბამისი რიტმები, ინტონაციები და ამით საფუძვლიანად შესცვალა ფორმა ქართული პოეტური მეტყველებისა.

მთელი საუკუნე გავიდა ბარათაშვილის სიკვდილის შემდეგ. მაგრამ დრო უძლური აღმოჩნდა მისი უკვდავი შემოქმედებისა და ღვაწლის წინაშე.

ლენინ-სტალინის ეპოქამ უსაზღვროდ გააფართოვა სარბიელი მისი მერანისათვის. მუდმივი წინსვლისა და სიახლისაკენ მომწოდებელ ძახილს მისი მხედრისას განცვიფრებით უსმენენ დღეს არა ათასები, არამედ მილიონები.

ლენინ-სტალინის პარტიის მეოხებით ბარათაშვილი გასცდა საქართველოს ფარგლებს და იქცა ყველა ეროვნების საბჭოთა ადამიანის კუთვნილებად.

ჩვენი დიდი სამშობლო ღირსეულად აფასებს მას, როგორც ქართველი ხალხის დიდბუნებოვან წინაპარს, რომელმაც შეუდარებელი ძალით გამოხატა მებრძოლი ადამიანის სწრაფვა თავისუფლებისა და სულიერი სრულყოფისაკენ.

ნ. ბარათაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

დღეს, 21 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან თბილისის სახელმწიფო თეატრში შესდგება თბილისის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული აქტივის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი დიდი ქართველი პოეტის **ნიკოლოზ ბარათაშვილის** გარდაცვალების 100 წლისთავისადმი.

• • •

ამავე დღეს, დღის 12 საათზე, დიდი ქართველი პოეტის **ნიკოლოზ ბარათაშვილის** საფლავზე (მთაწმინდა) შესდგება პოეტის გარდაცვალების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი მიტინგი.



მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,
უნდა ვჰსდიოთ მოვალეობა მის მსახურებისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში, და სოფლისთვის არა იზრუნოს!

1837.

ნიკოლოზ ბარათ.

გიორგი ქუჩიშვილი

წინამორბედი

„არა დედ-მამა,—მაგ სიკვდილით
დაობლდა ერი!"
ილია ჭავჭავაძე

1.
სამშობლო შენი,
ვით დედის გული,
იყო განრთხმული
რკინის ქუსლის ქვეშ
და შენ, პოეტო,
მედგარი სულით
ებრძოდი ბურვილ
ცივ უკუნ სისქეს!
2.
მარად უსაფრომ,
გულ-ბობოქარმა,
მერანს უბელოს
მიანდე ბედი
და წარგიტაცა
ვით ნიავქარმა,
სულ სხვა ცხოვრების
წინამორბედი!
3.
„ნუ დავიმარხო
ჩემსა მამულში"...
ცას შეჰკიოდი
უნდო რაინდი
და წინადგრძნობის
ამ ჟრიამულში
წამოგეწია
სიკვდილის ბინდი!

ასე დაგენთქა
სიცოცხლის დღენი.
ასეთი იყო
კვეთება შენი,
მაგრამ, პოეტო,
მედგარი ფრენით
გვიხმობ,
გვიტაცებ
ისევ მერანით
და თუმცა ვძლიეთ
„გზის სიძნელენი",
აღარც ძველი დრო
სუფევს ვერანი,—
მაინც ჩვენს შორის
ბადალი შენი
ვერ მონახულა
დღემდე ვერავინ!..

კოლაუ ნადირაძე

ბარათაშვილისადმი

დამარცხებული, შერიგებული
სადღაც ჯურღმულში ჩუმათ
კვდებოდი.
ერთი ქართველი დავიწყებული
განა სხვებისგან განირჩეოდი?

ასეთი იყო ბედი ქართლისა,
ასეთი იყო პოეტის ბედი...
გჯეროდა მხოლოდ ციურ მადლისა,
ან რა გაგაჩნდა ამაზე მეტი?

იყავ მიჯნური დაწუნებული,
ლექსს გიწუნებდა ეგების ბიძაც...
შორს იყო შენგან დატირებული,
მშობელი მხარე, მშობელი მიწა.

ვის რათ უნდოდი, რათ სჭირდებოდი,
ვიღაც პოეტი ბედის მზრახველი,
ალბად ღიმილის ღირსი ხდებოდი,
როს დიდებულთა შორის ჩნდებოდი
და მოესმოდათ შენი სახელი.

არ გაგიმართლა ახალგაზრდობამ,
არც მეგობრობამ, არც სიყვარულმა,
არც საკირეში გულის ჩადნობამ,
ცრემლებმა სისხლად
გადმოღვარულმა.

არ დაგესხურნენ ციურნი ცვარნი,
არ დაგიამეს დამწვარი მკერდი,
არცა სამშობლოს გაგიღეს კარნი,
არ მოგასვენეს წინაპართ გვერდით...

ასეთი იყო ბედი ქართლისა,
ასეთი იყო პოეტის ბედიც.
გჯეროდა მხოლოდ ციურ მადლისა,
ან რა გაგაჩნდა ამაზე მეტი?

მაგრამ არ ჩაქრა ქართლის
კანდელი!
და გვსურს გახაროთ საყვარელ
მგოსანს,
რომ გამარჯვების შუქი ნათელი
დღეს მკვდრეთით აღმდგარ
სამშობლოს მოსავს.

ჩვენო დიდებავ და ჩვენო გედო,
მუხლების მოხრა შენს წინ
გვეღირსა!
და, ნიშნად ერის უკვდავებისა,
მოგვეცი ნება რომ შევიერთოთ
ყოველი წვეთი შენი ცრემლისა!

ხარიტონ ვარდოშვილი

მშობლიურ მიწას მარად დაჰყურებ

რუსთველის შემდეგ არ გვყავს ბადალი
დიდო გენიავ ქართული ლექსის,
დღეს ვინღა არის შენი ხადარი,
პოეტი შენებრ უბრწყინვალესი.

შენ მზის თესლი ხარ და ოქრო მთვარის
ქართლის დიდებად მიმოფრქვეული.
ტკბილია, როგორც დუდუნი მტკვარის
შენი ლექსების ჟღერა გრძნეული.

იფრქვევა მარად ვარდთა ნათელი
შენი სიმღერით გაშლილი ბაღით,
და გვათბობ დიად ჰანგთა ნათელით —
სულო, გზნებულო ცის იალაღით.

დაუნდობელი და მოსისხარი
გწვავდა ბოროტი სულის თვალები.
შენი სიცოცხლე, როგორც სიზმარი
იყო ალსავსე იდუმალებით.

მშობლიურ მიწას მარად დაჰყურებ
ვით უკვდავების შუქი ზღაპრული.

ბევრი აპკურე დამწველ საყურეს
ხოტბა-ჯადოსნურ ხმით დაზაფრული.

შენი მერანის ტორის თქარუნი
მე ძილშიაც კი მაღელვებს მარად.
მისი ქიხვინი — ლეგენდარული,
სწვდება შორეულ სივრცის კამარას.

მას ვერ აჩერებს თაღნი ცისანი,
მიჰქრის ქართული აგუგუნებით.
წინ მიაქროლებს დიდი მიზანი
ამმაღლებელი კაცთა ბუნების.

ბარათაშვილო — გულთა მისანო,
შენს სულში ერის ხევდა ხმიანობს,
ჰოი, ჰანგებო—ოქროისანი,
მომჯადოებო ლექსნო ფრთიანნო —

თქვენ გაფრენთ ქვეყნად ფინი ქარული
და უკვდავება ქართლის მიწისა,
მარადისობა დიდ სიყვარულის —
მანათობელი შორი სივრცისა.

დემნა შენგელაია

ბედი ქართლისა

თერგდალეულების თაობა ის პირველი თაობა იყო, რომელიც რუსული ევროპეიზმის კულტურას ეზიარა. ამ თაობის წარმომადგენლებმა თავიანთ ლიტერატურული ფარხმალი „მამათა" უმთავრეს გმირს—გრიგოლ ორბელიანს შეალეწეს და ამავე დროს დროშად აღმართეს დავიწყებული სახელი ნიკოლოზ ბარათაშვილისა, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ერთად მხარს უმშვენებს თავის დიდებულ ბიძას. ერთის შეხედვით, ეს მოვლენა წინაუკმოდ სჩანს, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ გრიგოლ ორბელიანი სახელოვანი დამსრულებელი იყო ძველი თაობის ლიტერატურისა, ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილი ფუძემდებელი ახალი თაობის მწერლობისა, დავინახავთ, რომ არავითარ შეუსაბამობას აქ ადგილი არ ჰქონია. შემთხვევითი როდი არის ის გარემოებაც, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი დისწული იყო, ესე იგი, მომდევნო თაობა იყო გრიგოლ ორბელიანისა.

იმ თაობისათვის, რომლის კრედო იყო: „მოვიკლათ წარსულ დროებაზე დარდი" და „ჩვენ უნდა ვდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს", რა თქმა უნდა, მიუღებელი იქნებოდა საიათ-ნოვას აშუღური პოეზიისა და ანტონ კათალიკოსის ტრადიციათა გამგრძელებელი გრ. ორბელიანი და მისაღები—ლერმონტოვისა და ბაირონის მონათესავე სული—ნ. ბარათაშვილი. ორთავე, ბიძაც და მისი დისწულიც რომანტიკოსნი იყვნენ, მაგრამ მათ შორის ხიდი მაინც ჩატეხილი აღმოჩნდა. გრ. ორბელიანი მისტიროდა ქართველი ხალხის დიდებულ წარსულს, ნიკოლოზ ბარათაშვილი შეჰხაროდა ქართველი ხალხის დიდებულ მომავალს. რადგან წარსული ქცეულია და კონკრეტული, ხოლო მომავალი ქცევადი და პერსპექტიული, ამიტომაც მოხუცი ორბელიანის პოეზია საგნობრივია და ნათელი, ხოლო ყრმა ბარათაშვილისა — ტრანსცედენტალურია, აბსტრაგირებული და იდუმალ ხმათა მომსმენი. ასე უპირისპირდებიან ერთი-მეორეს „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში" და „შემოღამება მთაწმინდაზე", „ჩემო თარალი" და „მერანი". გრ. ორბელიანის შემოქმედება რეტროსპექტულია და პათეტიური, ნ. ბარათაშვილისა — წინადმგრძნობელი და მშფოთვარე, თუ გრ. ორბელიანი კონკრეტულიდან ზოგადისაკენ მიემართება, ნ. ბარათაშვილი ზოგადში კონკრეტულს ეძებს; აქ იფარება სათავე ერთის მგრძნობელობისა და მეორის გონებამჭვრეტელობისა.

ბარათაშვილის დროის პოეზია უმთავრესად აღმოსავლურ-მგრძნობელური იყო და ამიტომაც დარჩა იგი ასე მარტოსული და გაუგებარი თვით მისი დიდი ბიძისთვისაც. ნ. ბარათაშვილის წერილები მისდამი მუდამ პოეტურია და არასოდეს პასუხი წერილისა მისგან არ მიუღია. ეს სიჩუმე მნიშვნელობას არ უნდა იყოს მოკლებული, ეს დუმილი პრინციპული დუმილია. იმის მიხედვით, თუ რა სათუთად ინახებოდა მისი ლექსები რვეული ალ. ჭავჭავაძის ოჯახში, ძნელი არ არის მივხვდეთ თუ რა პატივისცემით ეპყრობოდნენ მის ნიჭს ამ სახლში, ხოლო, რაც შეეხება გრ. ორბელიანს, ჩვენ ისიც არ ვიცით ხეირიანად, თუ რა აზრისა იყო იგი მის გამო; თუ მოვიგონებთ, რომ ნ. ბარათაშვილისათვის იგი იყო ერთადერთი მახლობელი ადამიანი, რომლისგანაც იგი არამც თუ თანაგრძნობას, დახმარებასაც მოელოდა, მაშინ ეს სიჩუმე მართლაც რომ პრინციპულია. ეს დუმილი უფსკრულად იყო ჩაწოლილი მათ შორის, და ბუნებრივია, თუ დიდებული ბიძა „მამათა" ბანაკში აღმოჩნდა, ხოლო მისი დიდებულივე დისწული „შვილთა" მხარეს.

ეს ბრძოლა მარტოოდენ ლიტერატურულ მიმართულებათა ან თაობათა ბრძოლა როდი იყო. იგი ბრძოლა იყო ქართული დიდი და მრავალსაუკუნოვანი კულტურის ორი ტენდენციისა, რომელიც ქართული კულტურის ისტორიას იმთავითვე თან დაჰყვა. ეს ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო შერკინება იყო ორი დიდი სამყაროისა, — აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, აზიურ კულტურისა და ევროპეიზმისა.

ბიზანტიის დაცემის შემდეგ გზა დასავლეთისაკენ სრულიად მოიჭრა, საქართველო დარჩა მარტოდმარტო და, სანამ დიდი რუსეთი წელში გაიმართებოდა, იგი ოთხასი წელიწადი განაგრძობდა ბრძოლას ფანატიკურ აღმოსავლეთის წინააღმდეგ. ქართველი სახელმწიფო მოღვაწენი — დაწყებული გიორგი ლაშათი და რუსუდანით, გათავებული ნიკიფორე ირბახითა და სულხან-საბა ორბელიანით, ფიცხელ მიმოწერასა და მიმოსვლას აწარმოებდნენ ევროპაში, მაგრამ ამაოდ. ოთხასი წლის მანძილზე ისინი ისე დაშორდნენ ერთურთს, რომ მათი კავშირი მხოლოდ ფუჭი ოცნება იყო. სულხან-საბა ორბელიანი მზად იყო კათოლიკობაც მიეღო, მაგრამ ევროპაში ყოფნამ იგი დაარწმუნა, რომ გზა საქართველოს ხსნისა და განვითარებისა, გზა პატრიოტულად ნაკარნახევი, მიემართება არა დასავლეთით, არამედ ჩრდილოეთით. ეს გზა საბოლოოდ გაჰკვალა ერეკლე მეორემ მოსკოვისაკენ და ის პაექრობა მეფის ირაკლისა, სოლომონ ლეონიძისა და მისი მეუღლისა, რომელიც გადმოცემულია ნ. ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა", არ ახალია—ძველია. და ლექსი „საფლავი მეფის ირაკლისა" თითქოს ეპილოგია ამ პოემისა. სადაც ნ. ბარათაშვილი მკაფიოდ აცხადებს, თუ ვის მხარეზეა მისი სიმპატიები ამ დავაში. საყურადღებოა ამ მხრივ მისივე ლექსი „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა", სადაც იგი მძვინვარედ ემუქრება აღმოსავლეთის უკანასკნელ საფარველს, ყაზავთის ცეცხლით ანთებულ მუსულმანურ მთებს: „ძრწოდე კავკასიონო". ნ. ბარათაშვილი პრინციპული რუსეთუმე იყო და, სამწუხაროდ, ბევრ ჩვენ მკვლევარს ვერ გაუთვალისწინებია აზრი იმ დიდი ბრძოლებისა, რომელსაც კავკასიონი იხდიდა; ჯერ კიდევ არ არის ახსნილი ღრმა აზრი იმ გულგრილობისა, რომელიც გამოიჩინა ჩვენმა ინტელიგენციამ ჯერ ამ ბრძოლის დროს და შემდეგ ამ დიდი ეპოპეის დასრულებისას. არ არის სწორად გაგებული ბარათაშვილის მიმართვა იმპერატორისადმი; გავიხსენოთ აღა-მაჰმად-ხანის მიმართვა ირაკლისადმი: „განკვირვებით ვზრძანებთ. ვითამც რუსებს მოჰკიდებიხართ... ჩვენი დიდებული ნება ეს არის, რომ თქვენ ერთი ჰკვიანი კაცი ხართ, რომ ამგვარი საქმე განიშოროთ, რომ ქვეყნის თალიბიც ეს არის — რუსეთის შეერთებულება დაჰხსნა. თუ ამას არა იქმ, რაც გვიბრძანებია, აქ ცოტა ხანში საქართველოზე მოვალთ, რუსთა და ქართველთა სისხლს ერთად დავაქცევთ და მტკვრის მაგავს მდინარეს გავაკეთებთო".

ეს თალიბი მისი ქვეყნის თალიბი იყო. საქართველოს თავისი თალიბი ჰქონდა და იგი კარგად ესმოდა ნ. ბარათაშვილს. კავკასიონისა და ირან-ოსმალეთის თალიბი მაშინ ერთი იყო და ამიტომ იბრძოდა მის წინააღმდეგ ქართველი ხალხი თავისი თავგანწირულებით რუსეთის მხედრობასთან ერთად. ამიტომაც უწოდა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავის ლექსს „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა", ესე იგი ომი მთელი საქართველოსი, რადგან მის დროს ეს ქვეყანა უმთავრესად ამ წოდებათაგან შესდგებოდა. მიუხედავად ხშირი ამბოხებებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში, ქართველი ხალხი მტკიცედ დაადგა ირაკლი მეორის გზას. აღა-მაჰმად-ხანის სიტყვები გამართლდა. რუსთა და ქართველთა სისხლი ერთად დაიღვარა. მაგრამ ამან კიდევ უფრო განამტკიცა მათი მეგობრობა. საქართველომ კვლავ მოიპოვა ის დიდი გზა, გზა თვითადობისაკენ, გზა ქართული კულტურის ორგანიული მსვლელობისა, რომელიც თითქმის ოთხასი წლით იყო შეფერხებული. მიუხედავად მეფის რუსეთის კაპიტან-ისპრავნიკებისა და ინტენდანტ-კვარტირმეისტრების ჰორისხლიანი თარეშისა საქართველოში, მიუხედავად იმისა, რომ მეფის რუსეთის გარეწარი ჩინოვნიკობა საქართველოს გაკამტვერებით ემუქრებოდა და მით ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის შერყევას ცდილობდა, ეს მეგობრობა მაინც მტკიცდებოდა.

როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილი იყო არა მხოლოდ დიდი, ზოგადსაკაცობრიო მწერალი თავისი „მსოფლიოს სევდით", არამედ იგი იყო აგრეთვე ღრმად მოაზროვნე, პოლიტიკური მრწამსის ადამიანი და უაღრესად ეროვნული პოეტი.

იგი ციდან როდი ჩამოვარდნილა. იგი ორგანიული ნაყოფი იყო იმ საზოგადოებრიობისა, რომელშიც ტრიალებდა. იგი არც თუ ისე უმეგობრო იყო, როგორც ერთის შეხედვით გვეჩვენება. განა შეიძლება, რომ იგი არ ჩაეფიქრებინა მისი ქვეყნის ბედს? მის თვალწინ ჩაიარა ჯერ დეკაბრისტულმა და შემდეგ 1832 წლის შეთქმულებებმა; თუ ერთის მხრივ, მისი დროის თბილისი იყო ქალაქი გონებაჩლუნგ ჩინოვნიკებისა და დარდიმანდი თავად-აზნაურობის ნაწილისა, მეორე მხრივ თბილისი იყო დედაქალაქი იმ დიდებული ქვეყნისა, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარეობდა და ეს ორი სამყარო ისეთი თავგამოდებით იშვიათად შესჭიდებია ერთურთს, როგორც მის დროს შესჭიდა. არსებითად ეს ჭიდილი გაგრძელება იყო იმ ომისა, რომელსაც ქართველი ხალხი თავის მიწა-წყალზე მუდამ აწარმოებდა.

ნ. ბარათაშვილი დაიბადა და აღიზარდა იმ დროის თბილისში, სადაც მეფის რუსეთის გარეწარ მოხელეებს გარდა იმყოფებოდნენ რუსული ინტელიგენციის ისეთი ბრწყინვალე წარმომადგენლები, როგორიც იყვნენ დიდი პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონტოვი და ბესტუჟევი.

ჯერ კიდევ „კავკასიის პროკონსულის" ა. პ. ერმოლოვის დროიდანვე აქ თბილისში თავს იყრიდნენ თავისუფლების მოყვარეთა ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყო ა. ს. გრიბოედოვი, დეკაბრისტი ნ. ვ. ვოეიკოვი, ი. დ. ტალიზინი, დ. ბეჟუთაშვილი ა. ა. ველიამინოვი. აქ, ამ „თბილ ციმბირში", (ასე უწოდებდა კავკასიას ალექსანდრე პირველი) გადმოდევნილ იქნენ დეკაბრისტები—პ. კახოვსკი, ა. იაკუბოვიჩი, ვ. კიუხელბეკერი, პ. გრაბე, ფონვიზინი, გ. კოპილევი, ძმები ა. და ნ. რაევსკები; აქ იმყოფებოდნენ ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე, ზ. ფალავანდიშვილი და ალ. ჭავჭავაძე, რომელიც ლეიბგუსართა პოლკში პ. ჩაადაევთან, ნ. რაევსკისთან და პ. კავერინთან ერთად მსახურობდა. ამ რუსული და ქართული ბრწყინვალე ინტელიგენციის გარდა, ნ. ბარათაშვილის დროს საქართველოში ცხოვრობდნენ აგრეთვე ევროპის ინტელიგენციის ისეთი წარმომადგენლები, როგორიც იყო ნ. კვარტანო, — მონაწილე გენერალ მინის რევოლუციური რაზმის ბრძოლისა ფერდინანდ VIII-ს წინააღმდეგ, მარცხის შემდეგ იგი იძულებული გახდა გაქცეულიყო ბრაზილიაში, იქიდან რუსეთისათვის შემოეფარებინა თავი, ხოლო რუსეთიდან საქართველოში გადმოსახლეს და ახლო მეგობარი იყო ალ. ჭავჭავაძისა; მაშინდელ თბილისში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევდა აგრეთვე რევოლუციონერის ანტონიო კვიროგას უახლოესი მეგობარი და თანამშრომელი ესპანელი ვან გალენი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი უსათუოდ იცნობდა ამ წრეებს, იზრდებოდა ამ გარემოცვაში, იგი ორგანიული წევრი იყო ამ საზოგადოებისა. ბევრ მის ბიოგრაფსა და კრიტიკოსს ვერ გაუჭვრეტია ეს დიდი პერსპექტივა ქართველი ხალხის ისტორიისა, ქართული აზრის განვითარებისა.

ნიკოლოზ ბარათაშვილმა მოისმინა ხმა იდუმალი, ხმა ქართველი ხალხის გულისცემისა და განაახლა გზა ევროპეიზმისა ქართულ მწერლობაში, რომელიც დახშული იქნა ჯერ კიდევ მე-15 საუკუნეში. ეს გზა რუსეთზე იდო და ამიტომაც ბუნებრივი იყო ისიც, თუ რად მიისწრაფოდა იგი იქეთ სასწავლებლად, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ვერ მოახერხა. ეს გზა მის შემდეგ განაგრძეს თერგდალეულებმა და ამ გზამ მოგვიყვანა ჩვენ ბრწყინვალე დღევანდელობამდე. ამიტომაც არის ჩვენი დღევანდელობა ბუნებრივი, ღრმად ეროვნული. ამიტომაც არის დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის მეგობრობა ორგანიული. მთელი მე-19 საუკუნე არის ეპოქა ქართველი და რუსი ხალხის მხარდამხარ ბრძოლისა დღევანდელობისათვის. ამ დღევანდელობისათვის რომელიც დიდი **ლენინისა** და დიდი **სტალინის** მეგობრობის გენიით არის გაბრწყინვებული. ბარათაშვილი დღეს კვლავ გაცოცხლდა, რადგან განხორციელდა, კონკრეტული სახე მიიღო იმ იდეალმა, რომლისკენაც იგი ისეთი გატაცებით მიისწრაფოდა, რომელსაც იგი გატაცებითვე უმღერდა.

„არ დაივიწყა სამშობლომ შენი მის ბედზე ტირილი“

ვაჟა-ფშაველა

სანდრო შანშიაშვილი

დაუცხრომელი სულის პოეტი

დღევანდელ დღეს შესრულდა ასი წელი, რაც გარდაიცვალა საქართველოს დიდი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი — გარდაიცვალა დაშორებული თავის სამშობლოს, მოწყვეტილი სწორთა და მეგობართ.

ბედთან შეჭიდებული წინასწარ გრძნობდა ის, რომ უცხო ალაგას გაეთხრებოდა შავი სამარე და ჩატრფოს ცრემლის წილ დაეცემოდნენ „ციურნი ცვარნი“.

თავის ქვეყანაში ის ეძიებდა ადამიანს განკაცებულს, რომელსაც ექნებოდა სული ანთებული პატარა კახისა და თავდადება სოლომონ ლეონიძისა, რომ გაეფანტა სამშობლოდან კაეშნის ხმანი.

ის ეძიებდა, რომ ჩვენთა დედათ და ჩვენთა ასულთ გამოჰყოლოდათ სული ქვეყნისთვის შემატკივარი, სპეტაკი ზნეობა, რადგან ეს იყო მადლი, თანასწორი ღვთაებობისა, რომლის „უტკბილეს არც თუ იყო სასუფეველი“. მაგრამ მათ ნაცვლად ნახა ასულნი, რომელთაც დაჰკარგოდათ „გული ცხოველი“.

ვინ იცის, ამის გამო სევდიანმა რამდენჯერ ინამა ცრემლი თავის საყვარელ მთაწმინდაზე და მოდუდუნე მტკვრის პირას.

და განა პირად ცხოვრებაში როდისმე ნახა ბედნიერება?

ბედნიერება მას ისე გაურბოდა, როგორც წყვდიადი—მზის ბრწყინვალებას!

ჰსურდა მხედრობა და ვერ ეღირსა, თითქოს განგებ ბავშვობიდანვე მიტომ დაკოჭლდა, რომ მას ჭაბუკობაში ეს სურვილი ვერ აღესრულებინა!

ჰსურდა უმაღლესი სწავლის მიღება, მაგრამ, თითქოს განგებ, ადრე მდიდარი მისი ოჯახი, გაპარტახდა, გაღარიბდა, რომ მას ჭაბუკობაში ვერც ეს სურვილი აღესრულებინა!

უყვარდა მას ასულთა შორის ულამაზესი და თითქოს, „ერთად შესხივებულნი შვებას მოჰფენდნენ სიცოცხლეს“, მაგრამ აქაც „ბედმან მუხთალმან დაუნგრია ტაძარი“, დაუხშო უკუღმართმა საწუთრომ ნუგეშის კარი და „კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი“ დაჰქონდა ობლად ისევე მწირს და მიუსაფარს.

ის თავის დროს იყო მოყმე ტარიელი თავის მიჯნურს მოცილებული!

ის თავის დროს იყო ვაჟას დაჭრილი არწივი, რომელიც ყვავ-ყორნებს ეომებოდა; მუდამ დამარცხებული ცხოვრების უკუღმართობით, მაგრამ არასოდეს სასოწარკვეთილი!

მან მხოლოდ ერთად-ერთმა, რუსთველის შემდეგ, თვალი გაუსწორა უკვდავებას და, სულიერ ღელვით განწირულმა, მერანი გააფრინა მარადისობაში:

„სად დაუღამდეს, იქ გაუთენდეს,
იქ იყოს მისი მიწა სამშობლო“.

ამით მან ძირფესვიანად უარჰყო, ჩვენში არსებული, რამდენიმე საუკუნის აღმოსავლური ავხორციანობის ნალექი პოეზიაში და ხიდი გასდო ჯერ ისევ რუსთაველთან და შემდეგ ევროპის მაღალ კულტურასთან.

გიორგი კაჭახიძე

ბარათაშვილის აჩრდილი

მის წიგნს ჩავხედე ღიმით გადაშლილს,
შემომაგება ცეცხლი ქაღალდმა
და მლოცველივით ლექსთა ტაძარში
თავდავიწყებულს შემომაღამდა.
ვიგრძენ წარსული სევდად განცდილი,
შემომეძალა მწუხრის ნიავი.
ლექსში წამოდგა მგოსნის აჩრდილი
შუბლდაღრუბლული სოფლის სიავით.
ხმა იდუმალი მისი ვიწამე,
შემომხედა და ენა დამება;
განმაცდევინა სევდის სიმწვავე,
მიუსაფარი გულის წამება;
განმაცდევინა სულის ხანძარი,
არ შეშრობოდა ცრემლი სტრიქონებს.—
უცებ გაბრწყინდა ლექსთა ტაძარი
და მის გუგუნში მე გავიგონე:
ბედით დატკბობა სულს არ ეღირსა,
მაგრამ ხომ სურდა ქვეყნად ეხარა!
რადგან კაცნი ვართ, შვილნი ქვეყნისა
უნდა კიდევაც ვარგოთ ქვეყანას!
ოქროდ მეჩვენა სიტყვა ქართული,
ლექსი შეენთო გულს სიყვარულად,—
ბინდმა შემაკრთო ფიქრით გართული
ფრთხილად ეზოში შემოპარულმა.
წიგნი დავხურე.—მგოსნის აჩრდილი
შუქით გავიდა მყუდრო ეზოდან
და სივრცეებში გრგვინვად გაჭრილი
მისი მერნის ხმა დიდხანს მესმოდა.

ალექსანდრე ქუთათელი

ვარსკვლავი

„მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა,
ვამცნო გულისა მე საიდუმლო“.
ნ. ბარათაშვილი: „მერანი“

ეგ შუაღამეც გადავიდა დადუმებული.
ცაში განიბნა ღვთაებრივი იდუმალობა,
ვით ანგელოსის უნაზესი, ჩუმი გალობა
და კვლავ ციმციმებს მნათობების უცხო კრებული,
უცხო კრებული მიუწვდომელ შორი სივრცისა
და შეჰღაღადებ მას ობოლი შვილი მიწისა.

გინდა გაანდო საიდუმლო და მას გაჰყურებ,
თუმც გიჭერს მშობელ დედამიწის ხელი მაგარი.
ხედავ: შუქურა დაეკიდა ცას ვით საყურე,
სატრფოს თვალთაგან ჩამოგდებულ ცრემლის მაგვარი,
ცრემლის მაგვარი, უცნაური და გულსაკლავი, —
აჩემებული სიყრმიდანვე შენი ვარსკვლავი.

ის ნათელია შენი სულის მალხინებელი,
მესაიდუმლე შენი სევდის და ჭმუნვარების,
თანამავალი, ბედისწერის შენის მხლებელი,
დაუსრულებელ ცის ტატნობზე უცხოდ მარები,
უცხოდ მარები, ფეთვალყურე შენი სრბოლისა
და მასაც შენებრ ენატრება ხმა თვის მშობლისა.

მაგრამ ყრუ განჯის სამსახურში დაგსჯის დროება,
გულს გიკლავს ქართლის უბედობა, დროშა დახრილი,
მოთქმით დასტირი ამა ქვეყნის ამაოებას
ბაგრატიონთა ნაშიერი პატივაყრილი,
პატივაყრილი ქართლის ჭირი აღარ გასვენებს,
ჰგოდებ და შენმა ფსალმუნებმა გული დასერეს.

გზარავს მაცთური, მოგზავნილი სული ბოროტი,
თავისუფლების და სიკეთის უარმყოფელი.
შფოთავ, ამ სოფლის შავ ჯურღმულში რადგან ცხოვრობდი,
რომ წრფელ ზრახვათა, ფიქრთა მიმართ ყრუა სოფელი,
ყრუა სოფელი და შენა ხარ მიუსაფარი,
„ჰკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაჭვრალი“.

დაგაშტერდება კაეშანით მაშინ მნათობი,
უცხო შორეთის სასწაულის აციმციმებით
და ცრემლმორეულ ალტაცებით გულის გამთბობი,
თრთის ცის ეთერი გაისრული სხივთა სიმებით,
როგორც ჩონგური იისფერი შორი სივრცისა
და შეჰღაღადებ კვლავ ობოლი შვილი მიწისა.

„მაგრამ ვერ ჰსცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს“,
სატრფოც გულისთქმას გიკიჟინებს უცნაურ მგოსანს
და ღამის ნაცვლად ნუგეშს შესთხოვ განთიადს მზიურს.
გინდა მზე იყო, რადგანაც მზე სიცოცხლით გმოსავს,
და ისევ ის ხმა საკვირველი ჩაგძახის ცხადად,
რომ დედა-ქართლის ბედი გულში გესვენოს ხატად.

მტკვარს მიადგები სევდიანი ქართლის აჩრდილი
და თუმც გიშფოთებს სულს ამ ქვეყნის ამაო ბრუნვა,
ქვეყნის შვილთ მაინც უანდერძებ სოფლისთვის ზრუნვას
და შენ მხედარი უგზოუკვლოდ ვილად გაჭრილი,
თავგანწირული, მზის მიჯნური, რწმენით ახალი,
ნიჭქრი ქარიშხლის, ბედის საზღვრის გადამლახავი.

აჰა, ქართლს ისევ ჩაუქროლებს შენი მერანი,
სადაც აკვანში, ტბისა ძირას ბაზალეთისა,
ერს გაუზრდია ყრმა ცრემლებით ქართლის დედისა, —
თავისუფლების მზის მომტანი, მზის მომღერალი
და დედამიწას აწ ანათებს ძლევის ფარსავით
მყინვარის თავზე მოკაშკაშე მისი ვარსკვლავი.

აკ. ბელიაშვილი

მწუხრი [illegible]

მინიატურა

წელი იყო ათას რვაას ორმოცდაჩვიდმეტი.

ოქტომბრის ცივი მთვარე ეკიდა ცაზე. თოვლით დაფარული შორეული მთები მდუმარედ გარინდულიყვნენ. ნელი ნიავი ოდნავ აშრიალებდა მთვარის შუქიდან მოქსოვილ აბრეშუმის კალთებს მოწყვნილ ტევრებში.

სუროს ნაწნავებში შეხვეულ სალხინოს სასახლეში სიჩუმე სუფევდა. ყველას ეძინა. არ ეძინა მარტო დედოფალს. ის გარინდული წამოწოლილიყო ოქროთი მოვარაყებულ საწოლზე და თვალგახელილი შეჰყურებდა ფრანგი მხატვრის ხელით მოხატულ ჭერს.

მაღალ შანდალში ჩადგმული კელაპტარი ზევიდან დასცქეროდა დედოფალს და ხანგამოშვებით იცრემლებოდა.

ჩუმად ქანაობდა მაღალი ბრინჯაოს საათის საქანელა. სადღაც სიბნელეში ფათურობდა თაგვი.

სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე დადიანი უკანასკნელად ათევდა ღამეს თავის სასახლეში, ხვალ დილით ის უნდა გამოთხოვებოდა თავის სამფლობელოს და ხელმწიფე იმპერატორის რესკრიპტის თანახმად სამუდამოდ გადასახლებულიყო პეტერბურგში.

მთელმა სასახლემ გლოვით შეიცხადა ეს თავზარდამცემი ამბავი. გენერალ-გუბერნატორმა კოლუბიაკინმა თავაზიანად უბრძანა დედოფალს ოცდაორ ოქტომბერს გამგზავრებულიყო ორპირის ნავსადგურისაკენ, სადაც მას ელოდებოდა სტამბოლიდან ოდესღაც ჩამოტანილი მდიდრულად მორთული სამთავრო სანდალი.

ტირილით შეუდგნენ მსახურნი ბარგის შეკვრას, ყველაფერი ახსნეს, აშალეს, არივ-დარიეს. ეგონათ ყველაფრის წაღება შეიძლებოდა, მერე გამოირკვა, ას ფუთზე მეტს საბარგო სანდლები ვერ ზიდავენო და ახლა აუცილებელი ნივთების არჩევას შეუდგნენ. თავი ვერ გაართვეს, ძლივს-ძლივობით რამდენიმე მაფრაშა შეკრეს და გვიან ღამით დაღლილები დასაძინებლად მიეყარ-მოეყარნენ.

ეკატერინე გაუხდელად წამოწვა ლოგინზე, თვალს ძილი არ ეკარებოდა, გულს ურევდა არეულ-დარეული ოთახი. აკეცილი ნოხები კუთხეში მიეყარათ. მაგიდაზე მიმოეფანტათ ოქროს ზარნიშით მოვარაყებული იარაღი. ეშმაკის რქებივით ამოეყოთ ბოლოები ყანწებს ტახტზე დაგროვილ მუთაქა ბალიშებიდან. ფორტეპიანოს სახურავზე შედგმული ჯვარცმა ოდნავ შებრუნებულიყო, თითქო ამ ვერცხლის ჯვარზე გაკრულ ღმრის ქრისტესაც ვეღარ აეტანა ეკატერინეს დარდი, ზურგი შეექცია დედოფლისათვის და თავისი ნაწამები სახე ოთახის ჭერის კუთხისაკენ მიეპყრა.

თახჩაზე შელაგებული წიგნებიც არეულ-დარეული იყო. ზოგი ერთმანეთს მიყრდნობოდა, ზოგი წაქცეულიყო, ერთ მათგანს ცალი ყდა მკლავივით გადმოეკიდა თაროდან, თითქო მაგიდაზე რაღაცას უნდოდა დასწვდომოდა. მაგიდაზე კი პატარა ხელნაწერი წიგნი ეგდო.

თახჩის კუთხეში საქმიანად ფათურობდა თაგვი. საზრდოს დაეძებდა. მოულოდნელათ ის რაღაცამ შეაკრთო. დაფეთებული შეხტა, ყდაგადმოკიდებულ წიგნს დაეცა, ჩრდილის ნაგლეჯივით გაილანდა და კუნჭულში გაქრა. ყდა გადმოკიდული წიგნი გადმოცურდა. მაგიდაზე დაგდებულ პატარა ხელნაწერ წიგნს დაეცა, ყდები მკლავებივით მოავლო, ათრია და ორთავემ იატაკზე ტკაცანი მოილო.

ხმაურზე დედოფალი შეკრთა. მოიხედა, ბნელ კუთხეში დაინახა — წიგნი ჩავარდნილიყო. ყურადღება არ მიაქცია. ისევ ჭერს მიაპყრო თვალები. მერე ამოიოხრა და უნებურად აღმოხდა:

„რაა მოვშორდე ჩემსა მამულსა მოვაკლდე
სწორთა და მეგობართა..“

შეკრთა.. ისე მიმოიხედა თითქოს სხვას ეთქვა ეს სიტყვები.

„ნუღარ ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს ტკბილ მოუბარსა“.

— შემდეგ? შემდეგ როგორ არის? — ჰკითხა თავის თავს ეკატერინემ. ზეზე წამოიჭრა, შანდალს ხელი დაავლო და წიგნების თახჩისაკენ წავიდა. სანთელმა ცხელი ცრემლები დააყარა ხელზე.

— ტატო... სადა ხარ?—ჩურჩულით სთქვა მან და წიგნები შეათვალიერა—ტატო, დამენახე... სადა ხარ...

პატარა ხელნაწერი რვეული არა ჩანდა.

სწრაფად გადმოყარა წიგნები თაროდან. სათითაოდ, ხრიალით ფურცლავდა ყველას, ბერტყავდა, იქნებ რომელიმე მათგანში იყო ჩარჩენილი. ვერსად ვერ ნახა, მოუსვენრად მიმოიხედა და უცბათ იატაკზე თვალი მოჰკრა: რუსოს „ახალ ელოიზას“ პატარა ბავშვივით ჩაეხუტებინა ხელნაწერი რვეული. დაიხარა და ორივე აიტაცა. საწოლისაკენ გამობრუნდა. შანდალი თავის ადგილს დადგა. სანთლის ალი ჩვილივით აჭუნტულდა, ალაპლაპდა და ყველაფერი აალქვა ოთახში.

ეკატერინემ „ელოიზა“ მუხლებზე დაიდო, პატარა რვეული კი მოუთმენლად გადაფურცლა: აგერ „საყურე“, „ღამე ყაბახზე“, „ჩემი ლოცვა“ და უცბათ წამოიჭრა რვეულის ფურცლიდან ფაფარ აყრილი „მერანი“.

— მირბის, მიმაფრენს უგზო უკვლოდ ჩემი
მერანი...

დაიძრა ყველაფერი, წავიდა სადღაც შორს, უკან ჩამორჩა და მიიმალა ჯერ სალხინოს სასახლე, მერე სამეგრელოს სამთავრო, მერე კავკასიონის ღრუბლიანი მთები და წინ კი გადაიშალა დიდი გაუთავებელი ტრამალები, მდორე მდინარეები, ღრუბლები და ისევ ტრამალები...

— ნუ დამიტირის სატრფომ გულისა, ნუღა
დამეცეს ცრემლი მწუხარის
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა
შორის ტიალის მინდვრის.
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით
ღრიალით მიწას მიმაყრის,
სატრფოს ცრემლის წილ მკვდარსა ოხერსა
დამეცემიან ციურნი ცვარნი“.

სანთლის უბე დამდნარმა ცვილმა აავსო, ალს შემოეჭდო, თითქო მის დახრჩობას ლამობდა. ალი დაპატარავდა, საცაა უნდა გამქრალიყო, მაგრამ უეცრად ჯებირი გაირღვა, ხოლო...

...როდესაც დედოფალს ლოყებზე ცხელი ცრემლები დაუცურდა, სანთლის ალი ისევ გაიზარდა, ოთახს სინათლე მოაფინა და...

პატარა ხელნაწერ წიგნად შთენილ პოეტს მხოლოდ ახლა დაეფრქვა ციურთა ცვართა ნაცვლად სატრფოს ცრემლები.

„ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“

საქ. სახ. ტექ. გამომცემლობამ ცალკე წიგნად გამოსცა იონა მეუნარგიას მონოგრაფია „ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა“. წიგნი შედგენილია „ივერიაში“ მოთავსებული ფელეტონებისა და სხვა საარქივო მასალების მიხედვით სოლომონ ცაიშვილის მიერ და დართული აქვს მისივე წინასიტყვაობა.

წიგნის რედაქტორია გ. ლეონიძე.

გიორგი ლეონიძე

ნიკოლოზ ბარათაშვილი

ნ. ბარათაშვილის შორეული წინაპრები არიან სულხან-საბა ორბელიანი (ბარათაანთ გვარის განაყოფებიდან), ქართული პოეტიკის — „ჭაშნიკის“ ავტორი, მამუკა ბარათაშვილი, და ცნობილი პატრიოტი რევაზ ბარათაშვილი (17 საუკ.), აქტიური შეთქმულთაგანი სპარს დამპყრობელთა წინააღმდეგ, რომელსაც გამძვინვარებულმა მეფე როსტომმა თვალები დასთხარა. ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ კეთილშობილი პატრიოტის პირდაპირი მოდგმისაა.

პოეტის ახლო წინაპრები არაფრით არ არიან ცნობილნი. ასე თუ ისე მათგან გამოირჩევა პოეტის პაპა — ნიკოლოზ, იგივე ნინია ბარათაშვილი, სამეფო სახლის სიძე, მარაბდის მებატონე, რომელიც მოხსენებულია „კალმასობაში“. იგი რუსეთში გადასახლებულ საქართველოს უკანასკნელ დედოფალს მარიამს ახლდა ამალაში.

პოეტის პაპა დედის მხრივ — ზურაბ ორბელიანი — აგრეთვე ერეკლე მეფის სიძე იყო. ერეკლესა და გიორგის დროს ის იყო „მილახვარი მეფისა“, ხოლო უფრო გვიან ციციშვილის ჯარში ერევნის აღების მონაწილე, შემდეგ თბილისის ბაჟის ზედამხედველი და უზენაესი სასამართლოს „ზასედატელი“. მისი მეუღლე, ხორეშან, ერეკლე მეფის ქალის ელენეს შვილი იყო. „კეთილი. ნაზი, ჰკვიანი დედა, გამოულეველის სიყვარულითა და სათნოებით“ განთქმული — დედა გრიგოლ ორბელიანის და პოეტის დედის ეფემიასი.

ამრიგად, ნიკოლოზ ბარათაშვილი მამის მხრითაც და დედის ხაზითაც ერეკლე მეფის ჩამომავალია.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დაიბადა 1817 წელს, 15 დეკემბერს, თბილისში, მელიტონ ბარათაშვილის ოჯახში.

გადმოცემით, მელიტონი ხელგაშლილი, გულუხვი და სტუმართმოყვარე კაცი იყო. მისი ხაბაზები ყოველდღე პურს აცხობდნენ წვეულებისათვის, მისი მეთევზეები ყოველდღე დაბანდებულნი იყვნენ მტკვარზე თევზის ჭერით. მელიტონის ოჯახი ფართოდ იყო გაშლილი, მისი სახლი ყველასათვის ღია იყო, და მისი „სუფრა ლონეზე გადამეტებულად მდიდარი და ნაქები მთელს ქალაქში“.

მელიტონის ოჯახს დიდი ურთიერთობა ჰქონია მაშინდელს მოწინავე ქართველს ინტელიგენციასთან. იგი საუკეთესო დამოკიდებულებაში ყოფილა ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან. მასთან დაიარებოდნენ მაშინდელი ცნობილი ქართველები, წარჩინებული თბილისელი სომხები, მთავრობის ხალხი, გადმოსახლებული რუსი დეკაბრისტები და თვით 1830 წლის აჯანყებისათვის დასჯილი პოლონელები.

დედა პოეტისა, ეფემია, პოეტის გრიგოლ ორბელიანის უფროსი და (რომელსაც გრ. ორბელიანმა უძღვნა შესანიშნავი ლექსი „ჩემს დას ეფემიას“), „იყო მშვენიერი ქალი და ქართულად კარგად გაზრდილი“ და განვითარებული.

ნიკოლოზის დაბადებისას ეფემია 16 წლისა ყოფილა.

ნიკოლოზი, რომელსაც შინაურობაში ტატოს ეძახდნენ, დიდის ალერსითა და ნებიერობით იზრდებოდა, როგორც ოჯახის პირველი ვაჟიშვილი. დედასთან ერთად მას არ აკლდა მზრუნველობა ბებია ხორეშანის და გამდელ მაიასი (გორელი), რომელსაც მთელს ოჯახში დიდი პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული.

ნიკ. ბარათაშვილი ყმაწვილობისას მეტად ცოცხალი, მკვირცხლი, ცელქი და დაუდგრომელი ყოფილა. მას ჰყვარებია ზღაპრები სიმღერა, თამაშობა, ცეკვა. ამ ცელქობის მიზეზით მან ორივე ფეხი მოიტეხა კიბიდან გადმოხტომისას.

ქართული წერა-კითხვა პოეტს დედამ ასწავლა, ხოლო, შვიდი წლისა რომ გახდა, ტატო მიაბარეს კალოუბნის სამრევლო სასწავლებელში, სადაც მესხიშვილები ასწავლიდნენ საღვთო წერილს და ქართულ სიტყვიერებას.

1827 წ. ნ. ბარათაშვილი გადავიდა თბილისის „აზნაურთა სკოლაში“ ანუ საკეთილშობილო სასწავლებელში, რომელიც 1830 წ. გიმნაზიად გადაკეთდა. გიმნაზიაში ბარათაშვილი მიღებულ იქნა პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე.

გიმნაზიაში იგი წარჩინებულ მოწაფედ ითვლებოდა და მასწავლებლებიც დიდად აფასებდნენ.

ნ. ბარათაშვილმა გიმნაზიაში ისწავლა შემდეგი საგნები: საღვთო სჯული და საღმრთო ისტორია; რუსული გრამატიკა და სიტყვიერება; რიტორიკა, ლოგიკა, ზოგადი ისტორია და გეოგრაფია, მათემატიკა; ფიზიკა, ხატვა და ხაზვა, ფრანგული, გერმანული, ქართული და თათრული ენები.

უშუალო საგნების სწავლის გარდა, გიმნაზიის მოწინავე მოწაფეები დიდი ხალისით ეწაფებოდნენ რუსულ-ევროპულ ლიტერატურის შესწავლას, ბაირონი, მიცკევიჩი, შილერი, პუშკინი — მათი კერპები იყვნენ ისინი. დიდი გულმოდგინეობით ადგენდნენ ხელნაწერ ანთოლოგიას. გიმნაზიის ჟურნალს და თავის მხატვრულ სიტყვას სცდიდნენ ჯერ კიდევ სკოლის მერხზე.

ნიჭიერი და მდიდარი შთაბეჭდილებებს მქონე ბავშვი ინტელექტუალურ საზოგადოებაში იზრდებოდა. აქ საკმარისია გავიხსენოთ მისი ბიძა, პოეტი გრიგოლ ორბელიანი, რომელსაც ნ. ბარათაშვილის პოეტურ მიდრეკილებაზე „ყველაზედ მეტი ზემოქმედება ჰქონდა“.

ეჭვი არაა, გრ. ორბელიანმა ბარათაშვილის პოეტური სახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა. იგი ბარათაშვილის მეტრი იყო. პოეტი პირველ ლექსებს მას უკითხავდა, უგზავნიდა.

არა ნაკლები მონაწილეობა მიუძღვის პოეტის აღზრდაში სოლომონ დოდაშვილს, რომელიც ბარათაშვილის სკოლაში შესვლის პირველ დღიდანვე მისი მასწავლებელი იყო (ასწავლიდა ქართულს და გეოგრაფიას).

ბარათაშვილი სასწავლებელში იცვამდა ქართულად, როგორც სხვანი იმის ამხანაგები. კ. მამაცაშვილი გვიამბობს: „მე მახსოვს ნიკოლოზ ჩაცმული ბუზმენტით მორთულ ჩოხაში, დიდის ახალუხით, თავზედ პატარა ქართული ჩაკეცილი ქუდი, ქართულად რომ იტყვიან, კოხტურად ჩაცმული“.

* * *

ნიკოლოზ ბარათაშვილის მოქალაქეობრივისა და პოეტური სახის ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა 1832 წლის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, რომელმაც, რუსული დეკაბრიზმის ზეგავლენით, შეატორტმანა ქართველი საზოგადოების მიძინებული ცხოვრება.

შეთქმულობაში, სხვებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობდნენ პოეტის ახლობელი ადამიანები და ნათესავები, — სოლომონ დოდაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვები.

ჯერ გამოურკვეველია, იყო თუ არა მოწაფე ბარათაშვილი 1832 წლის შეთქმულების უშუალო მონაწილე. არსებობს ზოგი ცნობა, თითქოს სოლომონ დოდაშვილს ყმა პოეტი მიღებულიც კი ჰყავდა „ფარულ საზოგადოებაში“, რომ ბარათაშვილი გაჩხრიკეს დოდაშვილის საქმესთან დაკავშირებით და ორი კვირით კიდეც დააპატიმრეს.

მონაწილეობდა ბარათაშვილი შეთქმულობაში თუ არა, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მგზნებარე ბავშვი-პოეტი გაჟღენთილი იყო შეთქმულთა იდეებით და ოცნებებით. იგი ნათესაობითაც და მეგობრობითაც დიდად იყო დაახლოებული შეთქმულთა წრესთან. გათვითცნობიერებული ბავშვი კარგად გრძნობდა სამშობლოს სულიერსა და პოლიტიკურს დამონებას. ერეკლე მეფის ჩამომავალი, როგორც საკუთარ ოჯახში, ისე ნათესაურ გარემოში ყოველდღიური მოწამე იყო ქართველი საზოგადოების დრტვინვისა, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკური და ქონებრივი უფლებების დაკარგვით და რუსის მთავრობის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეების თავგასულობით. და ამ გარემოებას, შეუძლებელია გრძნობიარე, კეთილშობილ ბავშვზე თავისი ზეგავლენა არ მოეხდინა.

რომ გიმნაზიის მოწინავე მოწაფეები დაიარებოდნენ შეთქმულთა საიდუმლო კრებებზე, სადაც პოლიტიკურ საკითხებზე იყო ლაპარაკი, ეს დოდაშვილის პირდაპირი ჩვენებიდანაც ჩანს, სადაც იგი ამბობს, რომ შეთქმულთა ერთ-ერთ კრებაზე მოწაფის დავით მაჩაბლის თხზულებებს ვკითხულობდითო. ამავე დოდაშვილის, გიორგი ერისთავის და ვახტანგ ორბელიანის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით, ახალგაზრდა შეთქმულები გარკვეული მიზნით ქართულ წარმოდგენებსაც აწყობდნენ.

დოდაშვილი ერთს თავისს საგამოძიებლო ჩვენებაში აცხადებს, თითქოს ის ფულს აგროვებდა ახალგაზრდობის უნივერსიტეტში გასაგზავნად, ბიბლიოთეკისა და სტამბის შესაძენად.

ერთი სიტყვით, ზოგი მოწინავე მოწაფე განდობილი ყოფილა შეთქმულობის საქმეში, და არ არის მოულოდნელი, რომ დოდაშვილის სალიტერატურო წრის აქტიური წევრი ნიკოლოზ ბარათაშვილიც მათ რიცხვში რეულიყო.

ბარათაშვილის ამნაირივე კავშირის შესახებ 1832 წ. შეთქმულობასთან მოწმობს მისი პოეტური შემოქმედება სწორედ 1832-1833 წლებისა, საიდანაც ნათლად ჩანს, თუ რა დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ყმა პოეტზე შეთქმულობის დამარცხებას და რა ღრმა კვალი დაუტოვებია მისს შეგნებაში. თავი რომ დავანებოთ ბარათაშვილის ცნობილ ლექსს „ძია გ(რიგოლ)თან“, რომელშიც საკმაოდ კარგად ჩანს ყმა პოეტის სევდა, ამ დამარცხებით გამოწვეული, უფრო საინტერესოა ის, რომ პოეტის პირველი ლექსები („ბულბული ვარდზედ“, „შემოღამება მთაწმინდაზედ“) გამოხატავენ სწორედ 1832 წლის შეთქმულობის დამარცხებით გამოწვეულ დაცემულობის განწყობილებებს.

საყურადღებო მასალას იძლევა ლექსის „შემოღამება მთაწმინდაზედ“ პირველი ვარიანტის ანალიზიც. ეს ლექსიც, რომელიც დაწერილია 1833 წელს, ახალი განწყობილების ქვეშ, უნდა გამოხატავდეს „გულდახურულთა“ განწყობილებას, მაგრამ 1835 წ., როცა დამარცხების ტკივილი რამოდენამე მიყუჩდა, ოპტიმისტურად განწყობილი პოეტი ახალს ვარიანტში ასე აბოლოვებს ლექსს:

„მწუხრი გულისა — სევდა გულისა —
ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი
და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“.

ასეთი განწყობილება კი დაიბადა პოეტში, როცა ქართველმა ახალგაზრდობამ შეთქმულობის კატასტროფის შემდეგ ახალი გზები და პოზიცია გამონახა.

* * *

1835 წელს ნ. ბარათაშვილმა „ქებითი ატესტატით“ დაასრულა გიმნაზიის შვიდი კლასი, თუმცა მთავარმმართებელ როზენსა და გუბერნატორ ფალავანდიშვილზე დაწერილი სატირის გამო, ის ერთხანს გამორიცხული იყო გიმნაზიიდან.

ბარათაშვილის მიერ გიმნაზიის დასრულება მისი ოჯახის უკიდურეს ნივთიერ გაჭირვებას დაემთხვა, რასაც ართულებდა მამის მძიმე ავადმყოფობა.

ჭაბუკი ბარათაშვილის დიდიხნის ოცნება— სამხედრო სამსახურში შესვლა იყო, რომელიც მისთვის რომანტიულ ელფერს ატარებდა და წარმტაცად უხატავდა მომავალს. გამჭედავი, ნიჭიერი ჭაბუკისათვის ძნელი არ იქნებოდა ბრწყინვალე კარიერის გაკეთება იმ ასპარეზზე, საითაც ისწრაფოდნენ აგრეთვე მისი ტოლ-ამხანაგები და ახლობელი ნათესავები. მაგრამ პოეტის პირველ ოცნებას პირველ დღესვე უნდა შესტეხოდა ფრთები, ისევე როგორც მისს მეორე სურვილს — რუსეთის უნივერსიტეტში განათლების მიღებას. დაცემული ოჯახის პატრონი — ავადმყოფი მამა, შვილისგან კატეგორიულად მოითხოვდა ოჯახის შენახვას, რადგან მელიტონ ბარათაშვილს, უკვე ფიზიკურად და ქონებრივად წელგატეხილს, აღარ შეეძლო მისი გაძღოლა. ერთადერთი გზა „ჩინოვნიკობა“-ღა იყო. პოეტს ჰზარავდა მოხელეობა, „ძალიან არ უნდოდა, მაგრამ იმის სახლის გარემოება ისე გამოიცვალა, რომ უნდა მიეღო ეს ადგილი მამა ცხოვრებამ შეიყვანა დიდს ვალებში. შემდეგ კარგის ცხოვრებისა ჩავარდა სიღარიბეში და მოხუცებაში, მამულები ვალში გაეყიდა“ (კ. მამაცაშვილი). და პოეტი იძულებული გახდა დაეჩქარებინა სამსახურის შოვნა, „რათა თავისი ჯამაგირით რამდენადმე შეემსუბუქებინა მამისათვის ოჯახის შენახვა“ (დიმ. ყიფიანი). და რადგან მამამ და ოჯახის ულმობელმა გარემოებამ არ მისცეს ნება სამხედრო სამსახურისა, პოეტი იმავე 1835 წლის სექტემბერში შედის საქართველოს უზენაესი მთავრობის სამართლისა და განჩინების ექსპედიციის სამსახურში, სადაც მან ჯერ კიდევ გაუფორმებლად დაიწყო სამსახური (1836 წლის ზაფხულამდე).

კანცელარიაში ჩაჭედილი პოეტი დაჟინებით ცდილობდა თავის დაღწევას. 1837 წელს მას თითქოს უნდა ჰქონოდა წამიერი იმედი ასეთი შესაძლებლობისა. ჩვენ ვლაპარაკობთ იმ მომენტზე, როდესაც პოეტი როგორც თავადაზნაურობის წინამძღოლის შვილი იმყოფებოდა საქართველოში ჩამოსულ იმპერატორ ნიკოლოზ პირველის საპატიო ამალაში. ცნობილია, რომ „ხელმწიფეს ძლიერ მოეწონა ნიკო და უთხრა: შენ ჩემი ორდინარეცი ხარო“. (პოეტის დის ბარბარე ყიზირიშვილის გადმოცემა). პოეტი ვერ მოეწყო აგრეთვე რენენკამფთან, ვერ იხილა დაღისტნის სამხედრო ბანაკი, მაგრამ ბოლოს, როგორც იყო, მან იშოვნა სამხედრო სამსახურის მინაგვარი თანამდებობა, რომელიც, წარმატებასთან ერთად, ათავისუფლებდა „ექსპედიციის“ შემხუთველი ჰაერისაგან, კანცელარიის გულის გამაწვრილებელი საქმიანობისაგან. 1844 წელს სკოლის ამხანაგმა და ნათესავმა ლევან მელიქიშვილმა, რომელმაც მიიღო ნახჭევანის მაზრის უფროსობა, ბარათაშვილს მეგობრული ხელი გაუწოდა და ნახჭევანს წაიყვანა თავის დროებით თანაშემწედ.

1844 წ. ნოემბერს პოეტი გულისტკივილით გაემგზავრა ნახჭევანს, სადაც მაზრის უფროსის თანაშემწედ დაჰყო 1845 წლის მარტამდის. უდაბურ ნახჭევანში წასვლა ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილით იყო გამოწვეული. მელიტონ ბარათაშვილის ოჯახი უკვე კატასტროფამდე იყო მისული.

1845 წ. იანვარს მელიტონს განმეორებით დამბლა დაეცა, და პოეტი იძულებული გახდა ოჯახისთვის მიეხედნა. იმავ წლის მარტის დამლევს ბარათაშვილი ისევ თბილისს დაბრუნდა და ახალი სამსახურის ძებნას შეუდგა.

მდგომარეობა გამოუვალი იყო, თითქოს ყველაფერმა პირი შეჰკრა პოეტის დასათრგუნად. ბარათაშვილის მომსწრეთა სიტყვით მისი ცხოვრების უკანასკნელ წლებში, გაწვალებული კაეშანით და შრომით, იგი დამარცხებულ ტიტანს წარმოადგენდა. ოჯახის მძიმე მდგომარეობა აღარ აცლიდა პოეტს დაყოვნებისათვის. 1845 წლის ივნისში პოეტი იღებს ისევ მაზრის უფროსის თანაშემწის ადგილს განჯაში, რომელსაც მაშინ „სასაფლაოს სახელობა ჰქონდა“ ლეკების შემოსევის შედეგად. ქონებრივი ინტერესებითაც განჯა, როგორც პოეტი ამბობდა, „უდაბური ადგილი“ იყო. განჯაც ახლად იყო შემოერთებული რუსეთთან და იქაც ისევე, როგორც ნახჭევანში, მრავალი საქმე იყო ახლად დასაწყობი. ისეთი კუთხის ხელმძღვანელობა, როგორიც იმ დროს განჯა იყო, მეტისმეტად დაძაბულ შრომას მოითხოვდა, განსაკუთრებით ბარათაშვილისთვის, რადგან მაზრის უფროსის მ. ორბელიანის ხშირად აქ არყოფნის გამო მუშაობის მთელი სიმძიმე მას აწვებოდა კისერზე. განსაკუთრებით სამძიმო იყო ყაჩაღთა ბრბოების დაუდგრომელი მოძრაობა მაზრაში, რომელთა დევნამაც პოეტი იმსხვერპლა.

უოჯახოდ, უპატრონოდ მყოფი განჯაში, უკვე განჯის ავ-თვისებიანი მალარიით ავადმყოფი პოეტი გაციედა 25 სექტემბერს და სრულიად უპატრონოდ გარდაიცვალა „ღარიბ ქოხში“. 1845 წ. 9 ოქტომბერს (ძვ. სტ.).

11 ოქტომბერს განჯის მოხელეებმა ნიკ. ბარათაშვილი დაასაფლავეს განჯის ციხის ეკლესიის გალავანში. საიდანაც 48 წლის შემდეგ (1893 წ. აპრილში) გადმოასვენებულ და დაკრძალულ იქნა თბილისში, დიდუბის სასაფლაოზე.

1938 წ. ოქტომბრის 15-ს ნ. ბარათაშვილის ნეშტი საბჭოთა საზოგადოებრიობის მიერ გადასვენებულ იქნა მთაწმინდის პანთეონში.

* * *

შეუძლებელია პოეტის ბიოგრაფიაში

(დასასრული მე-4 გვ.)

„მინდა რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი"

აკ. გაწერელია

„მერანი"

ნიკ. ბარათაშვილის პესიმიზმი სრულიადაც არ გადადის შავს მიზანტროპიაში, არც მისი ფილოსოფიაა პასიურობისა და უმოქმედობის ქადაგება. ეს მხარე განასხვავებს ნ. ბარათაშვილის რომანტიულ მსოფლმხედველობას ევროპის (მეტწილად გერმანელი) რომანტიკოსების რეაქციული მსოფლმხედველობისაგან. ჩვენი მოსაზრების ჩინებულ ილუსტრაციას წარმოადგენს ბარათაშვილის შემოქმედების მწვერვალი — მისი „მერანი".

ქართული ლიტერატურის ისტორიკოსებისა და კრიტიკოსების ხანგრძლივი დავისა და კვლევის საგანს წარმოადგენდა ნ. ბარათაშვილის ამ ლირიკული შედევრისათვის პროტოტიპებისა და პარალელების ძიება მსოფლიო ლიტერატურაში. განსაკუთრებით ხშირად ასახელებდნენ მიცკევიჩის ბალადას „ფარისს", რომელშიაც გადმოცემულია ბედუინის ხეტიალი უდაბნოში. მაგრამ საკმარისია ზერელე გადაკითხვაც კი ამ ორი ნაწარმოებისა, რომ აშკარა გახდეს მათი უდიდესი განსხვავება, როგორც ძირითადი იდეის, ისე ჟანრისა და სტილის მხრივ. „მერანში" თვითონ ავტორი გვევლინება მხედრად და ამიტომ ლექსი აღწერისა და თხრობის ფორმით კი არაა დაწერილი, არამედ რეალური მდგომარეობის გადმომცემი რიტმით.

თუ პარალელების გზას დავადგებით, მაშინ „მერანის" მთავარ თემას — ველად უგზო-უკვლოდ გაჭრას — შეიძლება ანალოგიები მოუძებნოთ, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოეზიაში, ისე თვით ქართულ პოეზიაშიც. ამ მხრივ სრულიად კანონიერი იქნება მისი დაკავშირება „ვეფხის-ტყაოსნის" იმ ადგილებთან, რომელნიც თემატიურად და ფრაზობრივად ემთხვევიან ნ. ბარათაშვილის ქმნილების სიუჟეტსა და სტილს. ჩვენ აქ ვრცლად ვერ შევეხებით აღძრულ საკითხს და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ „მერანი", უნიკალურია ზოგად-ადამიანური იდეის გაშლისა და მისთვის გამონახული, ადეკვატური ფორმის თვალსაზრისით.

„მერანის" შექმნის იმპულსად პოეტისათვის იქცა შემდეგი ისტორიული ფაქტი: 1842 წელს დაღისტანში მთიელთა რაზმებმა დაატყვევეს ნ. ბარათაშვილის ბიძა ილია ორბელიანი, კავკასიის ჯარების ოფიცერი, სკოლის მეგობარი პოეტისა. ილიას ვაჟკაცური თავდაჭერილობა და სიმდგრე სამაგალითო აღმოჩნდა. ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილების გუვერნიორ ფრანგ ქალ დრანსეს, რომელიც აგრეთვე ტყვედ ჰყავდათ მთიელებს 1854-55 წლებში, თავის მოგონებებში მოთხრობილი აქვს მთაში გაგონილი ამბავი ილია ორბელიანის ხასიათის სიმტკიცისა და არაჩვეულებრივი გამბედაობის შესახებ. პოეტის ბიძის რაინდობას გაკვირვება გამოუწვევია მტრის ბანაკში.

ილია ორბელიანის ტყვეობას, სჩანს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მეგობარ-პოეტზე. ნ. ბარათაშვილი თვითონაც აღუწერს გრ. ორბელიანს მისივე ძმის თავგადასავალს, იქვე ურთავს მთელ ლექსს „მირბის, მიმაფრენს...", რომელიც ამჟამად „მერანის" სახელით არის ცნობილი და ბოლოს დასძენს: „არ ვიცი ეს ლექსები როგორ მოგეწონება; აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი, დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე, — ილიას დაჭერა რომ შევიტყვე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე, რომ სამი დღე გაბრუებული ვიყავი ათასის სხვადასხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო" (ბარათი 1842 წ. 2 მაისის თარიღით).

ეს სიტყვები მხოლოდ ნაწილობრივ გვავალდებულებენ „მერანის" ახსნისა და დაფასების დროს. ლექსში გადმოცემულია არა ილია ორბელიანის ფიქრები, არამედ თვითონ ბარათაშვილის სულიერი განწყობილება, ის „სხვადასხვა უცნაური ფიქრი", რომელიც სტროფების რიტმში გადმოიღვარა. ბიოგრაფიული ხასიათის მოვლენა იქცა თავდაპირველ იმპულსად, რომელმაც გამოიწვია პოეტის ძლიერი ვნებათა-ღელვა: „მერანის" არქიტექტონიკა, მისი რთული მეტრული წყობა და სხვადასხვა ზომის სტროფების ერთმანეთთან შეხამების სისტემა ამხელს, რომ ეს ნაწარმოები დიდხანს მწიფდებოდა ბარათაშვილის პოეტურ არსებაში: „მერანი" სამშობლოდან და ნათესავებისაგან გაქცეული ადამიანის სულის ექსტატიური ყიჟინაა და არა უცხოეთში დატყვევებული ოფიცრის სულიერი განწყობილება. აულ დარღის ორმოებში დაპატიმრებული ადამიანისათვის ნ. ბარათაშვილის კოსმოპოლიტური ფიქრები სრულიად შეუსაბამოდ უნდა მივიჩნიოთ.

„მერანში" გადმოცემულია კონფლიქტი ადამიანის იდეალებსა და სინამდვილეს შორის, ერთის მხრივ, და გიგანტიური ჭიდილი ბედისწერასთან, მეორეს მხრივ. მოვიგონოთ ილია ჭავჭავაძის მშვენიერი განსაზღვრა, რომელშიაც პირველად და მკაფიოდ არის გამოხატული ნ. ბარათაშვილის ლირიკული შედევრის იდეა: „ბარათაშვილს სურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად მღელვარი ფიქრი", რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაენმა ამისათვის ლიუციფერი აირჩია, გოეტეს ფაუსტმა — მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა თავისი მერანი ე. ი. თავისი სულის ქროლვა".

„მერანში" გვაქვს გმირული შერკინება ბედთან. ფრთებასხმულ და სივრცეში მსრბოლ მერანზე მჯდარ მხედარს უკან მოსჩხავის ტრაგიკული აღსასრულის მაუწყებელი შავი ყორანი, და პოეტიც უყივის თავის მერანს— გადაატაროს ბედის საზღვარი. იმდენად ძლიერი და სტიქიონურია ნ. ბარათაშვილის ამბოხი ფატალური ძალების წინააღმდეგ, რომ იგი მზადაა დასთმოს მშობლიური მამული, ნათესავები და გულის სატრფოც, ტიალ მინდორში და უცხო ცის ქვეშ იპოვოს საფლავი, ოღონდ ბედისწერას არ ემონოს; ეს არის ტრაგიკული ყიჟინა სოფლის დათმობაზე, ყველა მიწიერ, მატერიალური ხუნდებისაგან თავის დაღწევა სრული განთავისუფლების მიზნით. ეს არის თავდავიწყებული ტკბობა თვითონ სრბოლით, ქროლვით. პოეტის შავად მღელვარე ფიქრები ხან ერთს მთლიან ენერგიად გვევლინებიან და ტალღის მძვინვარებას მიაგავან, ხან უმაღლესი პოეტური მედიტაციის ფორმებში, ვრცელ და ტემპის მხრივ შენელებულ სტროფებში იშლებიან და ტალღის დროებით დაწყნარებასა და ყრუ გმინვას ემსგავსებიან. „მერანი" უაღრესად ექსპრესიული ნაწარმოებია თემატიური რკალების თანამიმდევრობისა და რიტმიული წყობის მხრივ. იგი ნამდვილი სიმფონიაა, რომელშიაც ენერგიული ტემპით გადმოცემულ ძირითად, სრბოლის მოტივს მოსდევს მსჯელობანი ბედზე, თვითონ პოეტის ხვედრზე და ადამიანურ მოვალეობაზე მოძმეთა შორის.

მსოფლიო ლირიკულ პოეზიაში მხოლოდ რამდენიმე ნაწარმოები თუ მოიძებნება, რომელშიაც „მერანის" მსგავსად იყოს მოტივირებული თემა, ემოციები და რიტმი ლექსისა. ამ მხრივ ბარათაშვილის ქმნილება ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავლილი. განყენებული მსჯელობა „მერანის" რიტმის ექსპრესიულობაზე, რასაკვირველია, ვერ აგვიხსნის იმ მომხიბლაობის მიზეზს, რომელსაც მკითხველში იწვევს ნ. ბარათაშვილის უკვდავი ქმნილება.

ლექსში მოცემულია პოეტის გრძნობებისა და ფიქრების იმგვარი დინება, რომ მათი გამოთიშვა ლექსის საერთო დინამიკიდან თითქოს შეუძლებელიცაა. პროგრამული შინაარსის შემცველი მე-8 სტროფიც („ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის"...) მაშინ სტოვებს ძლიერ შთაბეჭდილებას, როცა მას საერთო ჩარჩოდან არ გამოვყოფთ და ავითვისებთ, როგორც იმედის ზარის რეკვას დრამატიული ტონების ხმაურის ფონზე. „მერანი" პირველივე ტაქტიდან („მირბის...") ბოლომდე ამაღლებული პათეტიკის რეგისტრებშია მოცემული, მისი რიტმი ისეთი ზემოქმედების ძალისაა, რომ უხმოდ კითხვის დროსაც ჩვენ ავტორთან ერთად განვიცდით ემოციურ მღელვარებას, როგორც საკუთარს სულიერ განწყობილებას. არსად დესკრიპციაა, ლექსი პირდაპირ ex abrupto იწყება ძირითადი მოტივით—სრბოლით — რაიც რიტმის ტეხილი რხევით არის გამოცემული".

1. მირბის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ,
ჩემი მერანი, A
უკან მომჩხავის თვალ-ბედითი
შავი ყორანი! A
გაჰსწი, მერანო, შენს ჭენებას
არ აქვს სამძღვარი, A
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი
შავად მღელვარი! A

ლექსის ამ სტროფში მერანის ფრენა და მხედრის ფიქრების მღელვარება მოტივირებულია არა მარტო რიტმით, არამედ ბგერათა ორკესტრული ჟღერითაც — თანხმოვან „რ"-ს დომინანტით:

მრ —— ფრ —— რნ
———————— რნ
რნ —— რქ —— ვრ
———— ქრ —— ვრ

პირველი სტროფის მეტრი 14 მარცვლიანი ლოგაედია (ე. წ. „მცირე ბესიკური") და ხასიათდება ქორე-დაქტილურ მუხლებს (დიპოდიებს) შორის, ცენტრში, ერთმახვილიანი ტერფით (მეორე პეონით), რომელიც ხელს უწყობს რიტმის ტეხილი სახით დენას. გრაფიკულად საზომი ასე გამოიხატება:

⌣⌣	—⌣⌣	⌣—⌣⌣	—⌣	—⌣⌣
2	3	4	2	3

მთელი სტროფი შეკრულია ერთს მთლიან ენერგიად ერთი რითმით (AAAA).

მომდევნო სტროფის საზომი კი ოცმარცვლიანია (ე. წ. „შავთელური") და მთლიანად ქორე-დაქტილური დიპოდიებისაგან შესდგება. აქ უკვე აღარაა რიტმიული ტეხილი ცენტრში ან ტაეპის რომელიმე უბანში:

2. გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი,
გარდაიარე კლდენი და ღრენი A
გაჰსწი, გაკურცხლე და შემიმოკლე
მოუთმენელსა სავალნი დღენი! A
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო,
ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა, B
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით
თავგანწირულსა შენსა მხედარსა. B

(დასასრული შემდეგ ნომერში)

გრიგოლ აბაშიძე

საყურე

„ჰოი საყურეო,
გრძნებით ამრევო..."
ნ. ბარათაშვილი

კაი საყურევ, უცხო საყურევ,
აღარ ფარფატებ, როგორც პეპელა,
შენც სამარეში დაისადგურე,
შენც ლოდი გადევს ვეებერთელა.

მართლა გამქრალან, მართლა დამდნარან,
მარჯან-ლალები აღარ მოსჩანან,
შენი ხატებაც არ სჩანს პატარა,
გაგშორებია შენი შროშანა!

და ბნელში, სადაც ყრუა ყოველი,
არ ელი ხილვას სასიხარულოს, —
არ მოვა შენი უკვდავმყოფელი,
რომ ბაგე შენს ქვეშ დაიტკბარუნოს.

გ. ნადირაძე

პატრიოტიზმი ბარათაშვილის ბუნების გრძნობაში

რომანტიზმი იცნობს ბუნების განცდისა და მისი მხატვრული განსახიერების ორ სტილს: ფსიქოლოგიურ-ფანტასტიურს და ფსიქოლოგიურ-რეალისტურს.

თუ დავაკვირდებით, მაგალითად, გერმანული რომანტიზმის განვითარებას, შევნიშნავთ ერთგვარ წრეს. წინარომანტიულ მწერლობაში გაბატონებული მდგომარეობა რეალისტურ ლანდშაფტებს ეკავათ. ასეთი იყო ბუნება ჟან ჟაკ რუსოსი და გოეთესი. რომანტიზმი დაიწყო რეალისტური სტილის მკვეთრი დარღვევით. მაგრამ გარკვეული ეტაპის შემდეგ რომანტიული ხელოვნება თვითონ დაუბრუნდა სინამდვილის გრძნობას. პირველი ფანტასმაგორიული ნახტომი იენელმა რომანტიკოსებმა მოახდინეს, სინამდვილის გრძნობის გაღვიძება ჰაიდელბერგელების დამსახურება იყო, ხოლო რეალიზმის ხელახალი დამკვიდრება მოგვიანო რომანტიკოსთა თაობაში დასრულდა. მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ ეს ცვალებადობა რომანტიზმის მთლიანი განვითარების საერთო მდინარებას მიჰყვებოდა და სრულიად ბუნებრივად იყო განსაზღვრული ისტორიული და კერძოდ სოციალური ეკვივალენტით.

ასეთივე განსხვავებას შევნიშნავთ, თუ ევროპული რომანტიზმის ცალკე ნაციონალური ნაკადების თავისებურებას დავუკვირდებით. იენის რომანტიკოსთა ფანტასმაგორიები, ისევე როგორც ჰოფმანის ფანტასმაგორიები, ინგლისური გოთიკური რომანტიზმის არსენალიდან იკვებებოდნენ, მაშინ როდესაც ამ უკანასკნელს შესამჩნევი გავლენა არ მოუხდენია თვითონ ინგლისური რომანტიზმის გაფურჩქვნის პერიოდზე. ინგლისურის მსგავსად ფრანგულ და რუსულ რომანტიზმსაც უფრო რეალისტური ფერწერა და კლასიკური სიმშვიდე ახასიათებს. უფრო მეტი: ფრანგული და რუსული რომანტიზმი ამ მხრით ინგლისურზე წინ უნდა დავაყენოთ.

ფანტასტიური ლანდშაფტის პირველი დასრულებული ოსტატები მსოფლიო რომანტიზმს იენელმა რომანტიკოსებმა მისცეს. ამ უკანასკნელთა ხილული ქვეყანა წარმოადგენს გრძნეულ სინამდვილეს, ზღაპრულ არსებათა სამკვიდროს, სადაც შემთხვევას და მოულოდნელობას სრულიად დაუმორჩილებიათ ადამიანის ნებისყოფა.

მაგრამ ფანტაზია ყოველ შემთხვევაში ორგვარია. ზოგიერთი ირრეალური სახე ეალერსება ადამიანის სულს, ზოგიერთი—გაურკვეველი შიშით ათრთოლებს მას და მარტოობას და უმწეობას განაცდევინებს. დააკვირდით, მაგალითად, ფანტასტიურ ბუნებას ბერძნულ „ოდისეაში", სადაც მოალერსე სურათები თანმიმდევრობით ენაცვლებიან სულის მათრთოლებელ სურათებს. თქვენ გრძნობთ, რომ პოეტს გარკვეული აზრი ამოძრავებდა, როდესაც ხედავთ, თუ რა საოცარი ძალით იზრდება მოგზაურთა მხნეობა და მოხერხებულობა შინაგანი შიშის დასაძლევად და ერთი შეხედვით გადაულახავი დაბრკოლების დასამარცხებლად. ხანდახან ისიც ხდება, რომ გამოუვალ მდგომარეობაში მოულოდნელად შემოიჭრება ხოლმე ღვთაებრივი ძალა და გადაარჩენს ადამიანს აუცილებელი დაღუპვისაგან. ეს უკვე ბერძნული ბედისწერის იდეით არის ნაკარნახევი და თქვენ უნებურად გაგახსენდებათ რუსთაველის ცნობილი ლექსი: „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა". ყოველივე ეს,—პირადი თაოსნობით დამარცხებული დაბრკოლებაც და უზენაესი ძალის ჩარევაც,—საბოლოო ანგარიშში ავსებენ ადამიანის სულს არა შიშით, არამედ გაფრთხილებით იმ ბნელი ძალების მიმართ, რომელნიც მზაკვრულად ჩასაფრებულან ბუნებაში.

ასეთი როდია იენელი რომანტიკოსების ბუნება. ისინი თითქოს მრუდე სარკეში სინჯავენ მას და ისიც ათასი გრიმასით გამოიყურება მათი პოეზიიდან. წარმოუდგენელია ამ ლანდშაფტში ადამიანმა სულიერი მყუდროება იგრძნოს. ხილული ქვეყანა დეფორმირებული შეგრძნებებით იჭრება პოეტის სულში. რომანტიკოსი პოეტი ტყვედ უვარდება იმ ფანტასმაგორულ სახეებს, რომლებსაც თვითონ უკარნახებს გარემდებარე საგნებს და მისი სულიც დისჰარმონიულ აკორდებს გამოსცემს ამ უცნაურ გაღიზიანებაზე. საგულისხმოა ისიც, რომ ამ შინაგან თრთოლას რომანტიკოსი განიცდის როგორც ღვთაებრივი შთაგონების პოეტურ ძალას.

„ალექსანდრე ჰუმბოლდტმა დაამტკიცა,—სწერს ბრანდესი,—რომ ძველი ქვეყნების ადამიანი სილამაზეს ჰპოვებდა ბუნებაში მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ის იყო მოალერსე, მეგობრული და სასარგებლო ადამიანისათვის. რომანტიკოსები მოიქცნენ პირიქით. სასარგებლო ბუნება მათ ულამაზოდ ეჩვენებათ. ისინი მეტ მშვენიერებას ნახულობენ ველურ ბუნებაში ან მაშინ, როდესაც იგი გაურკვეველ შიშსა ჰგვრის მათ. ღამისა და მთის ხევების წყვდიადი, განმარტოება, რომლის დროს პანიკური შიში აძრწუნებს სულს, ყველაფერი ეს რომანტიკოსის საყვარელი მოვლენებია".

ბარათაშვილის ბუნებაში ჩვენ ვერ აღმოვაჩენთ ვერც ზღაპრულ სიმბოლიზმს, ვერც მითიურ ან ფანტასტიურ ელემენტს. აქ ბუნების მოვლენები მთელი შემოქმედების მანძილზე ინარჩუნებენ სინამდვილის გრძნობას. ბარათაშვილის პოეზიაში ვერ აღმოვაჩენთ ვერც იმ სულის შემაძრწუნებელ შიშს, რომელსაც ჰუმბოლდტი და ბრანდესი გერმანელ რომანტიკოსებში ჰპოვებდნენ. ბარათაშვილის ბუნება მშვიდია და მოალერსე. მის ლამაზ ხავერდოვან სურათებს ჰარმონიული მელოდიებით უპასუხებს პოეტის სული,—ბარათაშვილის მთვარიან ღამეში ხილული ქვეყანა როდი იქცევა ირრეალური ძალების სამკვიდროდ.

რით უნდა ავხსნათ ეს რეალიზმი? მე ვფიქრობ, მისი ახსნა უნდა ვეძიოთ ბარათაშვილის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში, რომელიც მთელ მის პოეზიას სრულიად განსაკუთრებულ თავისებურებას ანიჭებს.

თუ დავაკვირდებით ბარათაშვილის შემოქმედებას 1842 წლამდე რომელიც, ჩემის აზრით, ორი პერიოდის სამიჯნო თარიღს წარმოადგენს, ერთ თავისებურებას დავადასტურებთ: პოეტის ბუნება შემოფარგლულია საქართველოს საზღვრებით იმ ლექსებშიაც კი, სადაც პოეტი კოსმიურ ლაჟვარდს შეერთვის და ასტრალურ მნათობებს ესაუბრება, ის არასოდეს არ სცილდება საქართველოს მიწას. მის ლექსებში მხოლოდ სამშობლოს თავზე ანთებული ვარსკვლავიანი თაღია, მისი მთვარე ყოველთვის ჩვენი ქვეყნის რელიეფს ეფინება.

თავისთავად ეს დამახასიათებელი გარემოება სრულიად საკმარისი იქნებოდა წარმოგვედგინა იმ პატრიოტული სიყვარულის ძალა, რომელიც მსჭვალავს ბარათაშვილის პოეზიას და მას ჩვენი ერის სულისკვეთების გამომხატველად აქცევს. სევდიანად მოდუდუნე მტკვარი, დაფიქრებული და უდაბური მთაწმინდა, თვალად საამო ყაბახი, მჩქეფარე ქსანი, არაგვის აბიბინებული სანაპიროები მარტოოდენ ბუნების ესთეტიკური ფენომენები კი არ არიან, არამედ, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, ჩვენი წარსულის უტყვი მოწმენი.

„ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ,
ვისთვის რას იტყვი?
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ
ხარ უტყვი!".

ეს გრძნობიერი სტრიქონები ეხება არა მარტო მტკვარს, არამედ საქართველოს მთელს მიწაწყალს, რომელზედაც ცხოვლად არის აღბეჭდილი ჩვენი ისტორიის ნაკვალევი. გაიხსენეთ, მაგალითად, „ბედი ქართლისა" დააკვირდით არაგვის ხეობის ლანდშაფტს და მის თავზე ანთებულ ცის მნათობებს. რა გულთბილ პატრიოტულ გრძნობაშია გახვეული მთელი ბუნება. საქართველოს ცაზე ანთებული ასტრალური სხეულებიც მტკვარივით უტყვი მოწმენი არიან ჩვენი წარსულისა.

ჩვენ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ პატრიოტული გრძნობა წარმოადგენს სწორედ იმ დომინიურ განცდას, რომელმაც განსაზღვრა ბარათაშვილის სულიერი განწყობა ბუნების რეალისტურ ფერწერაში. ეს სიყვარული მშობლიური მიწის მიმართ იმდენად ძლიერია, რომ სრულიად გამორიცხავს მისი მხატვრული განსახიერების ირრეალურ ფორმებს. ეს ხომ შებღალვა იქნებოდა იმ წმინდათა-წმინდა მიწის, რომელზედაც აღბეჭდილა ჩვენი წარსულის კვალი. პოეტი თავს ევლება წინაპართა დიდების ამ უტყვ მოწმეს, როგორც რელიქვიას, როგორც საყვარელი ადამიანისაგან დანატოვარ სამახსოვრო ნივთს.

ნაციონალური ბუნების აპოლოგეტიკის თვალსაზრისით ბარათაშვილი უახლოვდება რომანტიზმის ისეთ წარმომადგენლებს, როგორიც იყვნენ პუშკინი ან ირლანდიელი ტომას მური და დამოუკიდებელ პოზიციას ინარჩუნებს ისეთი რომანტიკოსების გვერდით, როგორც იყვნენ ბაირონი ან შელლი ინგლისში, სენ პიერი ან შატობრიანი საფრანგეთში. ამ უკანასკნელთ იმთავითვე ახასიათებდათ ბუნების კოსმოპოლიტური შეგრძნება, მათ შორის ყველაზე დიდი მასშტაბი, ისევე როგორც ყველაზე გამახვილებული შეგრძნების აპარატი, რა თქმა უნდა, ბაირონს ჰქონდა. საყურადღებოა მაგალითად, რომ სწორედ დასახელებულმა პოეტებმა გააცოცხლეს ევროპულ პოეზიაში აღმოსავლეთის, ამერიკის და ტროპიკის ბუნება, ოკეანეთა თვალშეუდგამი ჰორიზონტები, უზარმაზარი გაუვალი ტყეები, ინდოეთისა და ამერიკის წყალუხვი მდინარეები, ტროპიკის მზე და მისი მდიდარი ეგზოტიური მცენარეულობა..

ეს კოსმოპოლიტური მასშტაბი, რომელიც ბარათაშვილის პოეზიაში თავს იჩენს მხოლოდ 1842 წლის შემდეგ, ამოზრდილია თავისებურ ისტორიულ და ბიოგრაფიულ ნიადაგზე. და მართლაც, არც ბაირონს, არც შელლის არ სჭირდებოდათ პოეტური ექსკურსიები ისტორიულ მუზეუმებში. ისინი ეკუთვნოდნენ იმ ერს, რომელსაც ნორმანდების შემდეგ არცერთხელ არ უგრძვნია ეროვნული თავმოყვარეობის შელახვა. შატობრიანის ბედი სხვაგვარად წარმართა რევოლუციის ქარტეხილმა. მაგრამ რა განსხვავებაც არ უნდა იყოს აქ, ერთი რამ ყოველ შემთხვევაში საერთო ჰქონდა შატობრიანს ბაირონთან. არც საფრანგეთის ისტორიას ახსოვს მსგავსი რამ. ბედის დაცინვაც სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ რევოლუციის ქარტეხილმა შატობრიანს ხელში თოფი აალებინა და იმ უცხოელი ლეგიონების ჯარისკაცი გახადა რომელნიც მისი მშობელი ერის სუვერენული ნებასურვილის დამორჩილებას ლამობდნენ.

ამრიგად სულ სხვადასხვა ნიადაგზე აღმოცენდა ბარათაშვილისა და შატობრიანის ისტორიზმი. საქართველოს პოეტს თავისი ერის ბედიღბალი აწუხებდა, ხოლო საფრანგეთის პოეტს—თავისი არისტოკრატიული ინტერესები; ბარათაშვილის გულისტკივილის ნიადაგი ეროვნული იყო, შატობრიანისა—კლასობრივი, ამიტომ ბარათაშვილის ისტორიზმს სამართლიანობის იდეა წარმართავდა ხოლო შატობრიანის პოლიტიკური და პოეტური ისტორიზმი რეაქციულობას ნიშნავდა.

ი. გრიშაშვილი

„ცისა ფერს"...

მე-19 საუკუნის პირველ წლებში მეტად გავრცელებული იყო ერთი რუსული ლექსი: „Черный цвет, мрачный цвет". ამ ლექსს თბილისის სალონებშიც მღეროდნენ: პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ თავის ქალს ნინო გრიბოედოვისას გადაუთარგმნა ეს ცნობილი ლექსი სასიმღეროდ, რომელიც ქართულად ასე გვედავრიშება:

„ფერსა ბნელს, ფერსა შავს
მე ვეტრფი მარადჟამს.
აროდეს ფერსა სხვას
არ ვეტრფო, ვფიცავ ცას.

არას ძალს, არას გვამს
არ აქვს ეს უფლება,
აშორვოს ფერსა შავს
ჩემი ტრფიალება.

ნუ მკითხავთ, ფერსა შავს
რათ ვეტრფიალები?
ჰგიშრობენ,—და რა ვჰყო,
საყვარლის თვალები!

გინდ მე მან სასურმან
მივიწყოს ამავ წამს,
მით ვეტრფოდე უდრეკად,
ფერსა ბნელს, ფერსა შავს.

ფერებში ვილოც შავს,
ცხოველში მას საგანს,—
მას შევრთამ ჩემსა სულს
მარად მისს შეწირულს.

სოფლითაც განსვლის ჟამს
ვისუდრებ ფერსა შავს,
და ვიდრემდის ვცოცხლებ,
თვალს არ მოვაშორებ".

(იხ. „ალ. ჭავჭავაძე" გვ. 151).

ნინო ჭავჭავაძის სულიერ განწყობილებას ეგუებოდა შავი ფერი. იგი როგორც ცნობილია, თავისი ქმრის—გრიბოედოვის გარდაცვალების შემდეგ ქვრივად დარჩა და თალხს ატარებდა საყვარელი მეუღლის ერთგულების ნიშნად. „ის (ე. ი. შავი ფერი) მექნება მარად მის საგნის სახსოვრად". ეს ორი სტრიქონი მთარგმნელმა ა. ჭავჭავაძემ თავად მიუმატა დედანს: რუსულში ეს ორი სტრიქონი არ არის და არც ჩვენ შეგვიტანია ა. ჭავჭავაძის თხზულებათა კრებულში.

როგორ გამოეხმაურა ნ. ბარათაშვილი ამ ლექსს? აშკარაა, ნიკომ იცოდა ამ ლექსის ორიგინალიც და მისი ქართული თარგმანიც. მაგრამ ახალგაზრდა პოეტი გამოეხმაურა არა დედანს, არამედ ჭავჭავაძის თარგმანს. ბარათაშვილმა „შავი ფერი" შესცვალა „ცისფერით", რომელიც ასე დამახასიათებელია თითქმის ყველა რომანტიკოს პოეტისათვის. თუ ა. ჭავჭავაძემ „შავი ფერი" კაეშნიან ნინოს მიუძღვნა, ნ. ბარათაშვილმა თავისი ლექსი „ცისა ფერს" ლურჯთვალება ეკატერინეს ალბომში მოათავსა, სანაცვლოდ გრ. ორბელიანის იმ დაკარგული სტრიქონისა, რომელსაც ეკატერინე ასე ლამაზად მღეროდა ბარათაშვილის გამოსაჯავრებლად:

„ბროლის ფიცარი....
აფიცარი
გულს დაგეკონოს".[1]

პარალელისათვის გავიხსენოთ ნ. ბარათაშვილის ეს შესანიშნავი ლექსი:

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,
პირველად ქმნილსა ფერს
და არ ამ ქვეყნიერს,
სიყრმიდან ვეტრფოდი.

და ახლაც, როს სისხლი
მაქვს გაციებული,
ვფიცავ—არ ვეტრფო[2]
აროდეს ფერსა სხვას.

თვალებში მშვენიერს
ვეტრფი მე ცისა ფერს;
მოსრული იგი ცით
გამოკრთის სიამით.

ფიქრი მე სანატრი
მიმიწევს ცისა ქედს,
რომ ეშხით დამდნარი
შევერთო ლურჯსა ფერს.

მოვკვდები—ვერ ვნახავ
ცრემლსა მე მშობლიურს, —
მის ნაცვლად ცა ლურჯი
დამაფრქვევს ცვარს ციურს.

სამარეს ჩემსა, როს
გარს ნისლი მოეცვას —
იგიცა შესწიროს
ციაგმა ლურჯსა ცას".

ალ. ჭავჭავაძის ლექსის—„ფერსა ბნელს, ფერსა შავს"—რუსული დედანი დღემდე არ იყო აღმოჩენილი. თვით ბარათაშვილის აკადემიურ გამოცემაში, რომელიც 1922 წელს, სხვათაშორის, ჩვენი უახლოესი თანამშრომლობით გამოვიდა, ვერ მოთავსდა რუსული ტექსტი უპოვნელობის გამო. ალ. ჭავჭავაძის თხზულებათა შენიშვნებში ვწერდით: „სამწუხაროთ ამ ლექსის სრული რუსული ტექსტი ვერ აღმოვაჩინეთ. იმედი კი მაქვს ვიპოვნი და მეორე გამოცემისათვის წარუდგენ მკითხველს" (გვ. 330). ეს იმედი გამიმართლდა: შარშან მოსკოვში ყოფნის დროს სიმღერების ერთი ხელთნაწერი კრებული აღმოვაჩინე, სადაც სიმღერა „ჩორნი ცვეტ" მთლიანათ იყო მოთავსებული. იგი სიხარულით გადმოვიწერე, თუმცა სამწუხაროდ ზედ არ ეწერა ავტორის ვინაობა, აი ეს რუსული სიმღერაც:

ЧЕРНЫЙ ЦВЕТ

Черный цвет, мрачный цвет,
Ты мне мил навсегда,
Я клянусь в другой цвет
Не влюблюсь никогда.

Не принудят меня,
Не заставят меня,
Разлюбить черный цвет,
Сылы нет, власти нет.

От чего спросит свет,
Я влюблен в цвет теней?
Я скажу—черный цвет,
Цвет подруги моей.

И пусть вдруг, милый друг,
Позабудет меня,
Черный цвет, мрачный цвет
Все любить буду я.

У меня мысль одна,
Черный цвет и она
В ней навек я солью
Мрачну душу свою.

Разставаясь с землей
Облечусь в черный цвет,
А пока в очах свет,
Я влюблен в черный цвет.

როგორც მკითხველი ადვილად დაინახავს, ალ. ჭავჭავაძის ქართული ლექსი ამ რუსული ლექსის თითქმის პირდაპირ თარგმანს წარმოადგენს, ხოლო ბარათაშვილის „ცისა ფერს" ალ. ჭავჭავაძის „შავი ფერის" გამოძახილს.

ლექსები გარეგნულად ერთმანეთსა ჰგავს, თვითეული მათგანი ოთხ სტრიქონიან ექვს სტროფს შეიცავს, სამივე შინაგანი წყობით, მარცვალთა რაოდენობით და რიტმით წმინდა რუსული ფორმის სასიმღერო ლექსია (გაიხსენეთ ა. პუშკინის ზემფირა: „Старый муж, грозный муж" და შეუფარდეთ: „Черный цвет, мрачный цвет"). ქართულ პოეზიაში ამ ზომისა და რიტმის ლექსი ალ. ჭავჭავაძემდე არსად არა გვხვდება, რაც ჩვენ წინადაც აღვნიშნეთ (იხ. „საათნოვა" გვ. 24), ასე რომ ლექსის ამგვარ წყობასა და ფორმას „ალექსანდრე ჭავჭავაძესებური" უნდა დაერქვას. ნ. ბარათაშვილის ყველა ლექსისაგან თავისი განსხვავებული ფორმით ორი რომანსი გამოირჩევა: „როს ბედნიერ ვარ" და „ცისა ფერს". მესამე გამოცემის (1886 წ.) რედაქტორები პ. უმიკაშვილი და გ. თუმანიშვილი აღნიშნავენ, რომ ბარათაშვილის დროს ეს ლექსები იყო სამღერალი ფორტეპიანოზე და რუსულად ასე იწყებიან:

„Как счастлив я, коль с тобой бываю!

ბოლოს:

„Ты не поверишь, ты не поверишь"

და სხვ. ცვლილება იქნება იმაში იყოს,—განაგრძობს ამ გამოცემის წინასიტყვაობის ავტორი,—მხოლოდ რომ შავი თვალები ცისფერ თვალებად გადაუკეთებია პოეტს. ეს ლექსები სრულიადაც რომ მოაკლდეს ბარათაშვილის ლექსთა კრებას, არას დაჰკარგავს პოეტის სახელი" (იხ. 1881 წ. გამოცემა).

ნ. ბარათაშვილის ლექსების ამ ძველი რედაქტორების მოსაზრებას, ცხადია, არ შეიძლება დაეთანხმოს ნ. ბარათაშვილის პოეზიის თანამედროვე მკვლევარი. ყოველ დიდ პოეტს მოეპოვება „მიბაძვა ანუ თარგმანი", მაგრამ რამდენადაც პოეტი მკვეთრს შემოქმედებითს ინდივიდუალობას წარმოადგენს, იმდენად თარგმნილი ლექსი მისი პოეტური ბუნების დამახასიათებელ შინაარსს და ჟღერადობას ღებულობს. ბუნებრივია ამიტომ თუ ხშირად ასეთი ძლიერი პოეტის თარგმნილი ლექსი თითქმის მის ორიგინალურ ქმნილებად ითვლება. გავიხსენოთ თუნდაც ლერმონტოვის „Горные вершины", მით უფრო ეს შეიძლება ითქვას ლექსზე „ცისა ფერს", რომელიც კი არ იმეორებს თავის პირველ წყაროს, „Черный цвет"-ს, არამედ არსებითად უპირისპირდება და შინაარსით ეწინააღმდეგება მას. „ცისა ფერს" გამოხატავს რომანტიკოსი შემოქმედისათვის დამახასიათებელ ლტოლვას დაუსაბამო ლაჟვარდოვანი სივრცის შერთვისაკენ. „ცისა ფერს"-ში იმდენი უნაზეს გრძნობათა სიჭარბეა, იმდენი გულწრფელობაა მასში, რომ ის თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ ჩვენი პოეტის დამოუკიდებელ შემოქმედებას და ჩავთვალოთ იგი ბარათაშვილის მთელი პოეზიის ორგანიულ კუთვნილებად.

უჩვეულო ფორმით დაწერილი ეს ლექსი ავსებს და ახალ შტრიხს მატებს ბარათაშვილს, როგორც პოეტს, რომანტიკოსს. ამ პატარა ლექსით პოეტი რჩება ერთგული იმ სულისკვეთებისა, რაც მან ასეთი ექსპრესიით გამოხატა თავის ლექსებში და განსაკუთრებით თავის ორ შედევრში „მერანსა" და „შემოღამება მთაწმინდაზე".

---

[1] „ცისა ფერს" ნ. ბარათაშვილის არცერთ ხელთნაწერ კრებულში არ არის მოთავსებული. იგი აღმოჩნდა მხოლოდ ეკ. ჭავჭავაძის ალბომში, საიდანაც თინა მეუნარგიამ გადმოსწერა და დაბეჭდა კიდეც ილიას „ივერიაში" (1882 წ. № 4-5. გვ. 55). თვით ეკ. ჭავჭავაძის ალბომი კი, რომელიც ნ. ბარათაშვილის ახლო ნათესავის ნინო ბარათაშვილის საკუთრებას წარმოადგენდა, ჩვენის წინადადებით, პატივცემულმა ნინომ დაუთმო საჯარო ბიბლიოთეკას და ამჟამად დაცულია ამ ბიბლიოთეკის იშვიათ ხელთნაწერთა განყოფილებაში.
ი. გ.

[2] ამ სტრიქონს ერთი მარცვალი აკლია: უნდა იყოს ან „ვიფიცავ", ან „არა ვეტრფო".
ი. გ.



ბარათაშვილის დროის თბილისი. სურათი გრ. გაგარინისა.



ბარათაშვილის თანამედროვენი: მანანა ორბელიანი და ეკატერინე ჭავჭავაძე.

მიხეილ მრევლიშვილი

ღამე კრწანისზე

შემოდგომა წვებოდა ორთაჭალისა და გარეთუბნის ბაღებში. ქალაქის ვიწრო ქუჩებში ჭარბად გამდგარიყო ატმის, ახლად-დაწურული ყურძნისა და ანაზდად მოქროლილი, დამწვარი ტყავის სუნი დაბახანიდან.

მკრთალად წვებოდნენ ჩრდილები მთებზე. საღამოვდებოდა. მზის უკანასკნელი სხივები ტაძრის გუმბათს ეთხოვებოდნენ. სეიდაბადი, ნარიყალა და ანჩისხატი იძირებოდა უფსკრულებში. სექტემბრის ღამე უახლოვდებოდა ქალაქს. კვდებოდა დღე.

მიჩუმებული იყო შაითან-ბაზარი. მისძინებოდათ სამჭედლო გრდემლებს, მხიარული ყიჟინით რომ ავსებენ დღეს. მისთვლემოდათ ყავახანებსა და ჩაიხანებს. ზემო-ბაზარზე ჩრდილი დასდებოდათ ხარახანის დუქნებს. მიძინებოდა ლალი და ფირუზი. მიყუჩებულიყო სადაფი და ხოშორის მარგალიტი.

წვებოდა ქალაქი მწუხრში. მხოლოდ აქა-იქ ისმოდა ხმაური და ისიც მინელებულად, ყრუდ.

განჯის შარას ქარავნები გაჰქროდა და ნელი ტაატი აქლემებისა შეეხამებოდა ეჟვნების ჟღერას. ჩუმი მოძახილი ქარავანბაშისა და ანაზდად ნათქვამი სიტყვა, სევდიანად დნებოდა მწუხრში.

განჯის კართან ტევა არ იყო. ქარვასლებში სადგომი ძვირობდა. დაუსრულებელი წყება აქლემებისა განსატვირთავად ემზადებოდა. გადმოჰქონდათ ტყავი და ქათიბი დიბისა, ფარჩა და ატლასი, დარაია-ბაბთა, შალი ქაშმირისა, ყალიჩა ყალამქარისა, მაჰვრიტანა სალამანდროსი და კიდევ ათასი რამ—ზეთისხილი იერუსალიმის ბაღებიდან, თუ აბრეშუმი შორეული ინდოსტანიდან.

განჯის კარს გავიდა სათარა და მწუხრში გაჰქრა. განჯის კარს გავიდა კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა და მოსვენებით ნელის ნაბიჯით კრწანისის ველისაკენ დაეშვა. ბილიკეთ ჩაუდიოდა სეიდაბადის ბაღებს, გადადიოდა ალმიან ორღობეში და ვაკეზე წვებოდა.

შორს კიდევ მოსჩანდა გაცრეცილი სილუეტი მეტეხის ციხისა. შავნაბადა გადმომდგარიყო გაღმივ და მტკვარს დასცქეროდა. ნიავს ანაზდად მოჰქონდა მტკვრის ტკბილი ხმა. ეს ხმა ნანასავით ესალბუნებოდა ნაბადწამოსხმულ მთას და გარინდული უსმენდა თანმეზრდილ მეგობარს.

ყმაწვილები ხის ძირთან ჩამოსხდნენ და გადახედეს ველს, გორაკებით შემოფარგლულს. შორს, ცის ტატნობზე ავერადებულ შუქს ცეცხლის ლელვასავით ამოჰყვა მთვარე. ჩრდილები შეჰკრთა და შეირხა. ქვევით მტკვრის ზოლი ვერცხლის წყალივით აზნიდა. ღამის მწუხრი ქარვის შუქში გადაიმალა და ჩადნა.

—სათარ, გვითხარი რამე, — გაიწკრიალა ქალის სანდომიანმა ხმამ,—დიდი ხანია არ გვსმენია შენი სიმღერა.

მთვარის შუქზედ გაწოლილ ველს, ოდნავ დაფერილს შემოდგომის ყვავილებით, ბაიათის ხმა აიდევნა. აიდევნა ნელის რხევით, სევდა-გოდებით. მთის კალთები ჩამოიბურა. მტკვარი ჩაწვა და მიყუჩდა. ხმა მოედო ველებს და ბაღს, ბილიკს და გზას. ბაიათი ხან სტიროდა, ხან ემდუროდა ბედის ვარსკვლავს...

წამოიშალნენ აჩრდილები კრწანისის ველზე. მთაზე გადმოდგა შუბლმრისხანე მოხუცი კახი. რაინდები რიგყოფილად დაეწყვნენ. ყიჟინა და საომარი ძახილები ზარბაზნის გრგვინვას გადაეჭდო. აბზინდაზე გადატეხილი ფოლადის ხმა გულმოსულ კვნესას შეუერთდა. შემდეგ ერთბაშად აყოთქოთდა, გადაიჩეხა უფსკრულებში და გაჰქრა თვალთაგან.

თარის ხმა მისწყდა. მსმენელებს ოხვრა აღმოხდათ და ეს ოხვრაც გაიფანტა ქარვისფერ შუქში.

— ორმოცდა ექვსი შემოდგომა გადაიტირა ქართლის ბედმა ამ ველზე—წაილუღლუღა ვიღაცამ და ლოდზედ დაყრდნობილ, ჩაფიქრებულ ყმაწვილს გახედა. ლოდს დაყრდნობილი შეტოკდა, ციცკენ აღაპყრო შავი თვალები. მთვარის შუქი ობოლი ცრემლის წვეთში გაელვა.

— რას სჩადი, ტატო? წაიჩურჩულა გვერდზედ მჯდომმა.

— არაფერია კოტე, ეს მიწა ღირსია ცრემლისა!—დასძინა მან და ლოდზე დაეშო.

ახალგაზრდობა გაიფანტა კრწანისის ველზე. ზოგი დაეშვა ქვევით, ზოგი ბილიკებს გაჰყვა. ფლატოზე გაისმა სათარის ხმა, გადასულიყო გაღმივ და იქ კვნესოდა სევდით.

ქალსაც უნდოდა წასვლა. ტატო მშველივით წამოიჭრა. მიუახლოვდა მას. ხელი მოჰკიდა. მიიზიდა.

— ხმა გამეც, გეთაყვა, მითხარი რამე — წაილუღლუღა მან.

— რას სჩადი, ტატო, ეგღა უნდათ ქალაქის ჭორისა.—ცივად მოუჭრა ვაჟს, გადაიხნიქა გვერდზე.

მთვარის შუქმა ბროლის ყელზე ოქროს ჯაჭვი აკიაფა, მუშამბახის ოქროს ამბარჩითა და პატიოსანის თვლებით. ყურებში ბადახშანის ლალის საყურეებმა გაიელვეს ნიშაბურის ფირუზით. გიშრის თვალებში მრისხანება, თუ ორჭოფობა ჩაწვა.

ტატო მოშორდა ქალს და ხეს მიეყრდნო,

— მეგობრობა დაგვიწყებია, ცისიერო, აღარა გინდა რა შენის მგოსნისა, დედოფალო მეგრელიისა.—ხმაში დაცინვა კრთოდა თუ საყვედური ქალს ვერ გაეგო.

— ბედმა გაგვთიშა, ტატო, მე მეუღლემ მთავრისა მეგრელიისამ, მონამ ბედისა, იავარ ვყავ გული.—ქალის მკერდი აიზიდა მძიმე სუნთქვით. ზარდაგის ფერი ოქრომკერდი ოდნავ შეირხა.

ვაჟის ტუჩებში სევდიანი ღიმილი ჩაწვა.

— მართალია, ეკატერინე, სად მეუღლე დადიანისა, დედოფალი სამეგრელოსი და სად მოხელე პალატისა...

ქალი შეაკრთო კილომ. ახლა თითონ მიუახლოვდა, ხელი მოჰკიდა, თვალებში ჩაჰხედა.

— ეგრე არ მითქვამს, ტატო, შენ ვერ მიმიხვდი ალბათ!

ტატო აკრა ხეს, შეუნაწილდა მას, შტო გახდა მისი. თავბრუ დაესხა. უფრო მიეკრო ხეს. მის წინ ის იდგა, მთრთოლვარე და პაეროვანი, მოსხივმფენარე და პირმცინარი. ანდამატივით იზიდავდა მიბნედილი თვალების კრთომა. იზიდავდა ეს მთრთოლვარე, ჩამოქნილი ნაზი ხელები და მაინც ჰგრძნობდა ამ ოცნების მიუწვდომელ ამაოებას.

— ჩემო ბედი ხარ, ცისიერო, მე უშენობა გამტეხავს და დამიჭკნობს გულს—წაიდუდუნეს ტუჩებმა და შეკრთნენ თითქოს.

— გული გაგტეხია, ტატო!

— გულგატეხილობა რას იქმს, სულის სიმშვიდე დამკარგვია ამ ქვეყანაზე.

— რაც არ მინახვიხარ, გამოცვლილხარ.

— რა გაეწყობა!

— მართალი უთქვამს მაიკოს, სევდა შემოგპარვია, მგოსანო.

— სევდაც და ობლობაც სულ შენი ბრალია.

— ობლობა რაღად, ტატო, განა ცოტა გყავს ნაცნობ-ნათესავები?

— ნაცნობ-ნათესავი მოჩვენებითია მხოლოდ. საკმარისია აღიგავო ამა ქვეყნიდან და მოსიყვარულენიც ამაოების მტვერივით გაიფანტებიან.

— ასეთია კანონი ქვეყნის. მარტოხელა იბადება ადამიანი, მარტოხელა კვდება.

— თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსის. გულთამხილავო.

— ეგ შენი ლექსის ქართულია, პასუხიც იქვეა.

— შენს გარეშე არარა არის, ცისიერო!

— ტატო, მე მეუღლე ვარ ქმრის. დედა ვარ შთამომავლობის, ეს უნდა გესმას.—სთქვა ქალმა და სიტყვა მოსწყვიტა.

დუმილი ძახილმა შესძრა. ეკატერინე გაშორდა ჩრდილს. მისი ლანდი ფერდობებზე გადაიგრიხა და აჰყვა ბილიკს.

—ქალო, კეკელა! აღმოხდა გულს და ეს გმინვა მიმავალი დედოფლის ლანდს კვალდაკვალ მიჰყვა.

კიდევ დიდხანს ეძახდნენ ტატოს. შემდეგ ძახილიც მისწყდა. ახალგაზრდობის ჟრიამული ჩაკვდა ღამეში. კრწანისის ველი, გასწვრივ მთები, დუდუნა მტკვარი—კვლავ თავის ფიქრებს დაუბრუნდნენ. მდელოც მიყუჩდა, გაინაბა. სამარისებური სიჩუმე ჩამოწვდა იალქნებგაშლილი მთვარე უსაზღვროებას აედევნა. სადღაც კაჭკაჭმა შეჰკივლა, მაგრამ ვერა დაკლო რა შედედებული ღამის მყუდროებას და უპასუხოდ უფსკრულებში გადაიჩეხა.

ტატო გამოერკვა. ბუდეშურის მარცვლისებური სევდით სავსე შავი თვალები მიაპყრო ცას, გაუღიმა თავის მეგობრებს, შუქმიბინდულ მთვარეს, კამკამა ვარსკვლავთ და ფერმიხდილი, აზრმიუცემლად აჰყვა ბილიკს.

სად მიილტვოდა—არ იცოდა. გული სტკიოდა მხოლოდ.

თხემზე ასული უიმედოდ გადაჰყურებდა წინ გაშლილ ველს, გაღმივ გაჭრილ მთებს, ვერცხლისფერ მტკვარს—შმაგ უნასავით დაკლაკნილს, ღრატოთი და ღელეებით დასერილ ჭალას, შუბლ შეკრული სარანგივით დადუმებულ შორეულ ტაძარს.

ლოდზე ჩამოჯდა. რა იქნებოდა მასაც ეპოვა ეს ტაძარი ნეტარებისა!

გარიჟრაჟი ნაზად შეეხო წაბლისფერ თმებს. დილის სიო შუბლის ნაოჭს მიესალბუნა.

გაფანტული სექტემბრის ღამე მიიწურა.

ქარმა მოჰბერა ზარების ხმა. აგუგუნდნენ სამრეკლოები. კრწანისის ველი გალობით აივსო.

ზარების ხმა ძლიერდებოდა. გალობდა მთა. გალობდა ველი და ეს ხმები ვარსკვლავთ კრთომას უერთდებოდა.

ტატო შეკრთა. ლოდს მიეკრო. გულს უცნაური ცეცხლი მოეხვია. გული აენთო.

ფერ-გარეცხილ დილის ლანდებში სადღაც ტატნობის უდაბნოში, ცადაწვდილი ტაძრის სვეტები აისახა. მთრთოლვარე შუქი ლამპრებისა მარგალიტებად აციმციმდა მარმარილოს სისპეტაკეში. ტატო მუხლებზედ დაეცა.

„ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოს მდგარი“...

ჩაიჩურჩულეს ბაგეებმა და ნექტარი ნეტარებისა მოედო გულს. ფეხზედ წამოდგა. ისნის თავზედ აისი იდგა. მგოსნის გული განბანილი ხვდებოდა მზეს.



სასამართლოს და განჩინების ექსპედიცია თბილისში, სადაც მსახურობდა ნ. ბარათაშვილი.

მცირე ცნობა ნ. ბარათაშვილის საფლავზე

პოეტს ვანო ბარათოვს (ივანე ზაალის-ძე ბარათაშვილი, 1842-1871, პიესა „რევაზ და ნინოს“, „სიმართლე თავისას გაიტანდა“ და სხვ. ავტორი), რომელიც დიდხანს იყო ჟურ. „ცისკრის“ თანამშრომლად, განჯაში მოუნახულებია ნ. ბარათაშვილის საფლავი და ამასთან დაკავშირებით დაუწერია ლექსი „ეპიტაფია თ. ნიკოლოზ ბარათაშვილის საფლავზე ნათქვამი“: ამ ლექსის დაბეჭდვა განუზრახავს „საქართველოს მოამბეში“. ილია ჭავჭავაძეს „ეპიტაფია“ არ დაუბეჭდია ვანო ბარათოვისათვის (ასე აწერდა ეს პოეტი ხელს თავის ლექსებს „ცისკარში“). ილია ჭავჭავაძეზე გულმოსულს „ეპიტაფია“ ივ. კერესელიძისათვის გაუგზავნია. „უფალო ცისკრის რედაქტორო, — მიმართავდა ბარათოვი კერესელიძეს,—ამ წლის (1863) მარტის თვეში გაუგზავნე ჩემს მიერ შედგენილი ეპიტაფია ნ. ბარათაშვილის საფლავზე ნათქვამი უფალს რედაქტორს საქართველოს მოამბისას რომ დაებეჭდათ თავიანთ ჟურნალში. მაგრამ არ ვიცი, რა მიზეზით არ აღასრულეს ჩემი თხოვნა“, და საყვედურს გამოსთქვამდა ილიას მიმართ, რომ პასუხი არ მომცაო. წერილთან ერთად გაუგზავნა ის ლექსიც, რაც დაიბეჭდა კიდეც 1863 წლის ივლისის „ცისკარში“. აი ის ლექსიც:

„მირბის დროება და მწუხარება,
შენი ლექსები არ გვავიწყდება.
უნდა შემეტყო ვის დამღერდა, რომელსა გვარსა,
საფლავს მივედი, უბრალო ქვაზე ვნახე წერილი:
„აქა მარხია საწყალი ნიკო ბარათაშვილი“,
რომ წავიკითხე გული დამეწო და დაჩოქილი
ქვას ვეხვეოდი, ბევრსა ვსტიროდი, როგორც ყმაწვილი“.

ასეთ თხზულებას ილია, რასაკვირველია, არ დაბეჭდავდა.

ვანო ბარათოვის ლექსში საინტერესოა მხოლოდ ის, რომ 60-იანი წლებისთვის ნ. ბარათაშვილის საფლავი ჯერ კიდევ მიწასთან არ ყოფილა გასწორებული, საფლავზე დებულა ქვა, თუმცა უბრალო და წარწერითაც. როგორც ცნობილია, ნ. ბარათაშვილის საფლავი განჯის ციხის რუსული ეკლესიის გალავანში იყო. 1884 წელს, როცა ი. მეუნარგია წავიდა საფლავის სანახავად, არავითარი ნიშანი მას აღარ დახვდა. ქვის ის ნაწილი, რომელზედაც წარწერა ყოფილა, სასაფლაოს ბაღად გადაკეთების შემდეგ, ეკლესიაში ინახებოდა თურმე. ამავე ხანებში გამოქვეყნებული ცნობა კ. მამაცაშვილისა „დროებაში“ ნ. ბარათაშვილის საფლავის ნიშნად მარად მწვანე კვიპაროსის ხეს აჩვენებდა.

ს. ხუციშვილი



ნ. ბარათაშვილის დროის თბილისი. მაშკოვის ალბომიდან.

ნიკოლოზ ბარათაშვილი

(დასასრული).

დავიწყებულ იქნენ მისი უახლობელესი მეგობრები—მაიკო ორბელიანი, ბაბალე საგინაშვილი და მანანა ორბელიანი, რომლის „მიბნედილი ქალი თვალები სულს ანათებდნენ აუმღვრეველი სიმშვიდის დამათრობელი სხივებით“. მანანას ოჯახში თავს იყრიდნენ მაშინდელი ქართველი პოეტები ნ. ბარათაშვილის მეთაურობით. მანანა „მათ გულღიად იღებდა, ახალისებდა მათ“ (დიმ. ყიფიანი). სწორედ მანანას სალონში წაიკითხა ბარათაშვილმა თავისი თარგმანი ლეიზევიცის ტრაგედიისა „იულიუს ტარენტელი“. კითხულობდნენ პუშკინის, ბაირონის, მიცკევიჩის ლექსებს, და ბოლოს, „მანანას სალონი იყო, საცა „ცისკრის“ გამოცემასა და ქართულ თეატრს მიეცა დასაწყისი“.

ნ. ბარათაშვილის საზოგადოებრივმა საქმიანობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა მხოლოდ იმ პატარა ლიტერატურულს წრეში, რომელსაც მან შეაფარა თავი და რომლის შესახებ გადმოგვცემენ მისი თანამედროვენი (დიმ. ყიფიანი და სხვ.).

ბარათაშვილი, რომელიც უცბადვე პოეზიის პირველს რიგებში აღმოჩნდა, როგორც დამოუკიდებელი და სრულფასოვანი პოეტი, იყო გავლენიანი ლიდერი ამ წრისა, რომელმაც ხელი შეუწყო ახალი პოეტური სტილისა და კულტურის ჩამოყალიბებას და რომელმაც დიდი კვალი დასტოვა ჩვენს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში წრეში შედიოდნენ: გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი დიმიტრი ყიფიანი, ზაქარია ფალავანდიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, გრიგოლ რჩეულიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი და მრავალი სხვ.

დიმიტრი ყიფიანის სიტყვით, ბარათაშვილის პოეტური ნიჭი ამ წრეში განვითარდა: აქ იგი კითხულობდა თავის ლექსებს; აქ იგი ისმენდა შენიშვნებს, რასაც თვითეული გამოთქვამდა გულწრფელად და აქვე იგი კითხულობდა ამ ლექსებს შესწორების შემდეგ. ბარათაშვილი და მისი წრე იყო მებრძოლი ქართული მწერლობის ევროპეიზაციისათვის, და ამიტომ ბუნებრივია, რომ წრემ, რომელსაც მეთაურობდა ბარათაშვილი, პირველმა დააყენა შექსპირის თარგმანის საკითხი ქართულს მწერლობაში. თვით ბარათაშვილმა სთარგმნა ლეიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარენტელი“, რომელსაც ახასიათებს გაბედული აზრები საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. ბარათაშვილის წრეს, რომელსაც ინტელექტუალური განხრა ახასიათებდა, დიდი ღვაწლი მიუძღვის იმ დამსახურებით, რომ, უპირველესად, მან შეუწყო ხელი ქართული პოეზიის განახლებას და ევროპეიზაციას. იგი ამასთანავე იყო ენის განმწმენდელი, რომლის მუშაობამ შეასუსტა აშუღურ-ყარაჩოღლური გალიმატია ქართულ პოეზიაში.

ბარათაშვილის სკოლამ თავისი პოეტური და ესთეტიური პრაქტიკით დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა აღმოსავლური პოეზიის გავულგარებულ სახეს — ეპიგონურ მუხამბაზურ პოეზიას, ამავე დროს მისთვის უცხო იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიის სპარსულ-ფრანგული მიმართულებაც

ბარათაშვილის წრის აქტივში ისიცაა მოსახსენებელი, რომ იგი აგრეთვე ებრძოდა კლერიკალურ-კონსერვატორულ ბანაკს მწერლობაში, და თუ გავიხსენებთ ნ. ბარათაშვილის და ღვთისმეტყველ-არქაისტ პლატონ იოსელიანის მწვავე ლიტერატურულ ანტაგონიზმს, შეგვიძლია აქვე ვივარაუდოთ პირველი ჩანასახი ლიტერატურული ბრძოლისა, რომელიც 60-იანი წლების სამწერლო ასპარეზზე გაიშალა.

დამახასიათებელია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ბარათაშვილის წრის ახალ პოეტურ კულტურას მტკიცედ ჰქონდა გადგმული ფესვები ძველქართული პოეზიის ნიადაგში.

აუცილებლად აღსანიშნავია ბარათაშვილის წრის კავშირი როგორც რუს დეკაბრისტებთან, ისე პოლონელ ემიგრანტებთან საქართველოში, რომელთა საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ პოეტები ლადო ზაბლოცკი და ალ. ხოძკო.

ცალკე აღსანიშნავია ნ. ბარათაშვილის და მისი წრის ურთიერთობა ცნობილ დეკაბრისტ მ. ბარატაევთან (ბარათაშვილი). მიხ. ბარათაშვილი იყო მეცნიერი პოეტი, საქართველოს დიდი პატრიოტი, და მისი ყოფნა თბილისში უსათუოდ კულტურულ მოვლენას წარმოადგენდა.

პოეზიის გარდა ბარათაშვილის წრეს სხვა სამოქმედო ასპარეზიც ჰქონდა. ასე, მან დასვა პირველად საქართველოს „რიგიანი“ ისტორიის შედგენის საკითხი. წრის წევრებმა ერთმანეთში გაინაწილეს დასაწერად საუკუნეები. თვით ბარათაშვილს დაუწერია თავისი ნაწილი, რომელიც დღემდის დაკარგულია.

* * *

ნიკოლოზ ბარათაშვილმა ადრე დაიწყო ლექსების წერა. ზოგიერთი ლექსი დაწერილია მაშინ, როდესაც სასწავლებელში იყო. ბევრი მისი დაწერილი ლექსი დაკარგულა, რადგან მათი დაბეჭდვა მაშინ არ შეიძლებოდა.

ბარათაშვილის სკოლის ნაამხანაგარის. ლუკა ისარლიშვილის დამოწმებით, „ბარათაშვილი ლექსებს სკოლაშიც სწერდა“. „ბევრი ლექსი“ იმ ხანისა თვით ისარლიშვილისათვის წაუკითხავს. სკოლის მეორე ამხანაგის, ნირიან ჭყონიას ცნობით, „ბარათაშვილს „მერანი“ გიმნაზიაშივე სწავლის დროსა აქვს დაწერილი, არითმეტიკის გაკვეთილზე. კარგათ მახსოვს, რომ „მერანი“ მე ზეპირად ვიცოდი. ჯერ კიდევ გიმნაზიაშიო“ (თუ ეს ცნობა მართალია, ლექსის პირველი ვარიანტი უნდა ვიგულისხმოთ); ხოლო ზაქარია ჭიჭინაძე, როგორც ბარათაშვილის ამხანაგთა და ახლობელთა ინტერვიუერი, დასძენს: „მე ბევრისაგან გამიგია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილს ბევრჯერ უთქვამს, რომ „ბედი ქართლისა“ შინაარსი სკოლაში ყოფნის დროს დამებადა თავშიო. მე იქვე განვიძრახე ამის დაწერა, რამდენიმეჯერ დავწერე კიდეც, მაგრამ არ ვაჩენდი, ვიდრე გვარიანად არ შევამუშავებდიო“.

ჩვენის აზრით, სწორედ ყრმა ბარათაშვილი უნდა იგულისხმებოდეს ს. დოდაშვილის აღტაცებულ სიტყვებში, რომლითაც იგი მიჰმართავს ძმას ტფილისიდან პეტერბურგს ერთს დაბეჭდილ წერილში: „მე აწინდელის მდგომარეობისათვის მამულისა ჩვენისა ესრეთ მოხარული ვარ... ვინაიდგან მრავალთა ახალგაზრდათა კაცთა იწყეს თხზვა მშვენიერთა სტიხთა“ (1832 წ.).

თავისი დროისათვის ნ. ბარათაშვილი ფართო წრეების პოეტი არ ყოფილა. მისი ლექსი მხოლოდ მცირე აუდიტორიისათვის ჟღერდა. პოეტს მხოლოდ მეგობართა ვიწრო წრე იცნობდა, რადგან ბარათაშვილს „წიგნის მკითხველი“ არ ჰყოლია, იგი არ იბეჭდებოდა. მისი აზროვნება უმოძრაობაში და სიჩუმეში მიმდინარეობდა, მისი დაუბეჭდავი მწერლობა არისტოკრატიულ სალონებს არ გასცილებია.

ფეოდალურმა საზოგადოებამ იგი ვერ შეაფასა.

ბარათაშვილის სახელი, როგორც დიდი ეროვნული პოეტისა, მხოლოდ ქართველმა დემოკრატიულმა ინტელიგენციამ იცნო პირველად. მხოლოდ ხალხმა მიიღო როგორც თავისი ფიქრების მთქმელი, თავისი მისწრაფებების გამომხატველი, თავისი იმედების და ბრწყინვალე მომავლის მომღერალი

არც ერთი ქართველი პოეტი, რუსთველის შემდეგ, არ ამაღლებულა ბარათაშვილის ლირიკამდე, რომელიც სავსეა მრავალმხრივი შინაარსით, რომელშიც პოეტმა სინამდვილის ჭვრეტა თავისი შინაგანი სამყაროს ასახვასთან ერთად უდიდეს მხატვრულ სიმაღლემდის აწია.

ნ. ბარათაშვილი დიდი მებრძოლი პოეტია პიროვნების განთავისუფლებისათვის. მისი „მერანი“ ტიტანიური ბრძოლის და გმირული პიდილის გამომსახველია. ამ დიდებულ სიმფონიაში ისმის ყველა ხუნდების დალეწვის ხმაური.

ამავე დროს ნ. ბარათაშვილი დიდი ეროვნული პოეტია. მის მთავარ ფიქრს საკაცობრიო პრობლემებთან ერთად შეადგენდა „ბედი ქართლისა“, საქართველოს წარსული და მომავალი. ბრწყინვალე პოემაში „ბედი ქართლისა“ მან მოგვცა საქართველოს ისტორიული ბედის ანალიზი და მახვილი თვალით განსჭვრიტა საქართველოს ის დიდი მომავალი, როცა მის სამშობლოს აღარ ერჩიან არც „კასპიის ღელვა“ და არც „შავი ზღვის ზვირთნი“.

ბარათაშვილმა ჯერ კიდევ ყრმობის წლებში დასტოვა აღმოსავლური პოეზიის ტრადიციების ფარგლები და შემდეგ ახალი ინტელექტუალური განხრა მისცა ქართულ პოეზიას. უკვე მის პირველ ლექსებშივე მოსჩანს დიდი ძალა, სიმწიფე, სიმწყობრე, აზრის უდიდესი სიზუსტით გამოთქმა, სიტყვის მაქსიმალურად შეკუმშვა და, საერთოდ, ფორმალური ოსტატობის ორიგინალობა.

ბარათაშვილი პირველი პოეტია მეცხრამეტე საუკუნეში, რომლის ლექსმაც დაჰკრა გულს და ქართველ მკითხველს აგრძნობინა უნაზესი, სპეტაკი გრძნობები დიდი სიყვარულის, სამშობლოს ტრფიალების და პიროვნების თავისუფლებისა. ამ მხრივ, იგი მიუღწეველი პოეტია.

ასევე ხმიანობს დღეს ბარათაშვილი, რომელმაც წარმოსთქვა:

მინდა **მზე ვიყო, რომ სხივნი ჩემთ დღეთა გარსამოვავლო,**
საღამოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო.
მინდა რომ ვიყო **ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი,**
რომ ჩემს აღმოსვლას ელოდნენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი.

იგი მართლაც დიდი განთიადის მორბედი იყო, და დღეს განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს მას უკვე განათებულ დღეებში მისი მშობელი ქართველი ხალხი, რომელიც დაულალავი ბრძოლით და მხნეობით ელოდა თავისი ქვეყნის მზის „აღმოსვლას“.

ომგადახდილი, გამარჯვებული ქართველი ხალხი დიდი **სტალინის** გმირულ ეპოქაში სიამაყით და სიყვარულით ეგებება პოეტს-ფილოსოფოსს, პოეტს-პატრიოტს, ხალხის შეუდრეკელი ნებისყოფისა და გმირობის მომღერალს, ახალი პოეტური სიტყვის შემოქმედს და ქართული პოეზიის უკვდავ განმაახლებელს.

ამიერიდან ნიკოლოზ ბარათაშვილი მრავალმილიონიანი საბჭოთა კავშირის თავისუფალი და ბედნიერი ხალხების პოეტი ხდება და ახალი სოციალისტური კულტურის უბადლო დამამშვენებელი.

რომანსები ბარათაშვილის ტექსტებზე

საქართველოს საბჭოთა კომპოზიტორების კავშირის თავმჯდომარის მოადგილემ, გრ. ჩხიკვაძემ ჩვენს თანამშრომელს აცნობა:

— კომპოზიტორთა კავშირს ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილეს აღსანიშნავად თავის დროზე გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი ბარათაშვილის ტექსტზე საუკეთესო რომანსების დასაწერად.

კონკურსის ჟიურიმ (გრ. ჩხიკვაძის თავმჯდომარეობით და დ. ანდღულაძის, შ. ასლანიშვილის, ლ. დონაძის. ა. მშველიძის, ეკ. სოხაძის, ნ. ჩიგოგიძის და თ. ზურაშვილის შემადგენლობით) 9 ოქტომბერს განიხილა კონკურსზე წარმოდგენილი ნაწარმოებები. ორ ნაწარმოებს მიეკუთვნა მეორე პრემია, ორსაც—მესამე პრემია. მეორე პრემია მიეკუთვნა სანდრო მირიანაშვილის სიმღერას — „შევიშრობ ცრემლსა“ და ვალერიან ცაგარეიშვილის სიმღერას „სატრფოვ, გახსოვს“; მე-3 პრემია მიეკუთვნა კომპოზიტორ დიმიტრი არაყიშვილს სიმღერისათვის — „შევიშრობ ცრემლსა“ და ნიკოლოზ გუდიაშვილს: „ფიქრი მტკვრის პირას“.

გარდა აღნიშნულ ტექსტებისა მუსიკალური პიესები დაწერილი იყო შემდეგ ლექსებზე: „როს ბედნიერ ვარ“, „მერანი“, „საყურე“, „ჩინარი“, „სული ობოლი“, „შენნი დალალნი“, „ჩონგური“, „არ დაიჯერებ“ და სხვ. ნაწარმოებებზე.

კომპოზიტორმა ლეო ფალიაშვილმა დასწერა მთელი ციკლი რომანსებისა ბარათაშვილის ლექსების ტექსტზე, გარდა ამისა მანვე დასწერა ვოკალური ტრიო ქალთა ხმებისათვის ტექსტზე: „ჩვილი“. დიმიტრი არაყიშვილმა და შალვა თაქთაქიშვილმა გააკეთეს ინსტრუმენტალური ტრიოდ (ფორტეპიანო, ვიოლინო, ჩელო) ცნობილი კილო „სული ბოროტო“.



სახლი თბილისში, სადაც ცხოვრობდა ნ. ბარათაშვილი.

ბარათაშვილის ნაკვალევზე ნახჭევანში

1844 წლის ნოემბრის დამლევს ნიკოლოზ ბარათაშვილმა გადასწყვიტა თავისი წყნარი სამსახური „სამართლისა და განჩინების ექსპედიციაში“ გაეცვალა თანამდებობაზე, რომელიც მოითხოვდა დიდ დროს, დიდ ენერგიას, აგრეთვე ტაქტს და სიფრთხილეს საზღვრებთან დაკავშირებული საქმეების გადაწყვეტის დროს. ეს იყო მაზრის უფროსის თანაშემწის თანამდებობა ნახჭევანში. ცხადია, ეს არჩევანი იმითაც იყო გამოწვეული, რომ ნახჭევანის მაზრის უფროსად დანიშნულ იქნა პოეტის ყველაზე ერთგული მეგობარი ლევან მელიქიშვილი, რომელთანაც ერთად ბარათაშვილმა გაატარა ახალგაზრდობის საუკეთესო წლები.

ოდესღაც დიდებული სახანოს დედაქალაქს, ნახჭევანს ბარათაშვილის დროს საბოლოოდ დაკარგული ჰქონდა თავისი წინანდელი მნიშვნელობა; ეს იყო ჩვეულებრივი, პატარა სამაზრო ქალაქი, რომელიც წვრილმან ინტერესებისა და კინკლაობის სარბიელს წარმოადგენდა. მხოლოდ ხანის დიდი სასახლე და მის გვერდით აღმართული უზარმაზარი კოშკი, რომელიც ხალხში „ათაბეგის გუმბაზის“ სახელით იყო ცნობილი,—აი ყველაფერი ის, რაც ამ ქალაქის სახელოვან წარსულს მოაგონებდათ.

უკანასკნელი მფლობელი ხანის ექსანის სიკვდილის შემდეგ ყოველგვარ ეკონომიურ სახსრებს მოკლებული ხანის ოჯახი ძლივს-ძლივობით ინარჩუნებდა არისტოკრატიულ სახლის ძველ ტრადიციებს. ამ სახლში ბარათაშვილმა მოახერხა ენახა უჩადროდ ხანის მშვენიერი ასული გონჩა-ბეგუმი, რომელიც პოეტს ერთ-ერთ მის თბილისელ ნაცნობ ქალს მოაგონებდა. იმჟამად ახალგაზრდა, ლამაზი ქალი დიდ სულიერ ტანჯვას განიცდიდა, მამას ძალით გაეთხოვებია ერთ უცხო კაცზე, რომელიც ქალს არ უყვარდა; გონჩა-ბეგუმს თავის მძიმე და მწვავე ხვედრზე თავათვე შეუთხზავს სიმღერა, რომელიც შემდეგი სტროფით თავდება:

„ჩემო მშვენიერო ბაღჩაო, მინდა მოვიდე, ვიმუსაიფო შენს შადრევანთან, შენს ყვავილებთან, მაგრამ მეშინიან, რომ ჩემი ქმარი იქ არ იყოსო“.

გონჩას სიმღერა ძალიან მოსწონებიათ ნახჭევანელებს, რომლებსაც მისთვის ცნობილი ლამაზი მელოდია შეუფარდებიათ. ბარათაშვილმა ხელი მოჰკიდა ლექსის ქართულად თარგმნას იმ განზრახვით, რომ თბილისში გაეგზავნა ცნობილ მომღერალ სათარისათვის შესასრულებლად; თავადაც პოეტი ძალიან გაიტაცა ხანის ულამაზესმა შავთვალა ასულმა, უმღერდა მას, უბრალო, მაგრამ მგზნებარე ლექსით ემუდარებოდა:

„დედისერთა ვარ, ნუ მომკლავ,
ნუ დამანებ სოფელსა“

ამ ლექსების გამო იგი მაიკო ორბელიანსაც სწერდა, მასვე გაუგზავნა ისინი ერთი თვის შემდეგ, როცა თვით მაიკო დაინტერესდა ამ ლექსებით, ამასთან პოეტმა მიუთითა თუ რა სასიმღერო მელოდია შეეფარდებიათ მათთვის.

ბარათაშვილის ერთფეროვან ცხოვრებას ნახჭევანში, სადაც თითქმის ერთად-ერთ ვართობას ბანქოს თამაში წარმოადგენდა, სასიამოვნო სურპრიზად მოევლინა შექის უკანასკნელი მფლობელი ხანის სენიმის შვილის—სულეიმანის ჩამოსვლა თავრიზიდან, სადაც იგი შევბულებაში იმყოფებოდა. სულეიმანთან ერთად ნახჭევანში ჩავიდა მომღერალი ჯაფარა, რომელსაც სამშობლოში ბევრჯელ გაეგონა თუ რა დიდად აფასებდნენ კარგ მომღერალს თბილისში. მას სურვილი აღძვროდა პირადათ დარწმუნებულიყო ამ ხმების სიმართლეში.

ორი დღე გაატარეს სტუმრებმა ბარათაშვილთან, რომელიც მელიქიშვილთან ერთად ცხოვრობდა, და თავიანთი სიმღერით აუწერელი სიამოვნება განაცდევინეს მასპინძლებს.

ნახჭევანის სხვა მცხოვრებთა შორის ბარათაშვილი იცნობდა შვედ პოლკოვნიკ კარლ ფორსტენს. პოეტს მასთან ახლო ნაცნობობა ჰქონდა და ძალიან დადარდიანდა, როცა ფორსტენი ნახჭევანიდან წავიდა. პოეტი დადიოდა აგრეთვე ექიმ ლუნკევიჩის ოჯახში.

მაგრამ საეჭვოა ბარათაშვილს ჰყოლოდა ნახჭევანში სხვა უფრო ახლობელი და ერთგული მეგობარი, ვიდრე იყო მასთან ხანგრძლივი მეგობრობით დაკავშირებული ლევან მელიქიშვილი. როგორც ვიცით, ბარათაშვილის და მელიქიშვილის ურთიერთობა ჯერ კიდევ გიმნაზიის სასკოლო სკამიდან იწყება, ისინი შევიდნენ ერთსა და იმავე გიმნაზიაში თითქმის ერთად (მელიქიშვილი ერთი წლით ადრე), ისინი იყვნენ არა მარტო ახლო ნაცნობები, არამედ როგორც ახლა ირკვევა, ნათესავებიც, ამას ცხადჰყოფს ახლახან ჩემს მიერ აღმოჩენილი დოკუმენტი (საარქ. აღწ. № 9262, ფონდ. 8 საქ. სახ. ცენტ. არქივი).

თავისი ღრმა სიყვარული მეგობრისა და ნათესავის, ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი, ლ. მელიქიშვილმა ყველაზე უკეთ გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილ ბარათში გამოსთქვა; ლევანი ვერ შერიგებია პოეტის უდროოდ სიკვდილს და დიდხანს განიცდის ამ მძიმე დანაკლისს: შესაძლოა,—სწერს იგი გრ. ორბელიანს,—მე ვსცოდავ, მაგრამ არ შემიძლია არა ვსთქვა, სად არის ეს ზეცის სამართალი, რომელზედაც ყოველ დღე ლაპარაკობენ, რატომ უნდა წაერთმია განგებას, ასე უდროოდ ადამიანებისათვის მეგობარი, სამშობლოსათვის — ერთგული და მოყვარული შვილი, ბრწყინვალე ნიჭ-მიმადლებული, მშობლებისათვის—მოწიფული შვილი და უკანასკნელი დასაყრდენი, მითხარი სად არის აქ სამართალი?“

* * *

ბარათაშვილის საიუბილეო კომიტეტის დავალებით ამ ზაფხულზე რამოდენიმე დღე დავჰყავი ნახჭევანში იმ მიზნით, რომ შემეგროვებია ბარათაშვილის შესახებ დარჩენილი ცნობები. სამწუხაროდ ხანდაზმულობის გამო არ დარჩენილა კვალი ბარათაშვილის ყოფნისა ნახჭევანში. აღდგენასა და დაცვას საჭიროებენ ის ადგილები და ძეგლები, რომლებიც ბარათაშვილის დროს ნახჭევანის მშვენებას წარმოადგენდნენ. 582 წელს (ჰიჯრით) სახელგანთქმული ნახჭევანელი ხუროთმოძღვრის აჯამის—აბუბექრის შვილის მიერ აშენებული სახელგანთქმული კოშკი ათაბაგისა დღეს დღეობით ნგრევას გადარჩენილა, მაგრამ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. უკვე აღარ არსებობს ხანის დიდებული სასახლე, არც ის კოშკისკენ გასასვლელი მშვენიერი ალაყაფი, რომლის სტილსაც ძალიან დიდხანს ჰბაძავდნენ მთელს აზერბაიჯანში.

მეტად საამურ შთაბეჭდილებას სტოვებს ამჟამად ნახჭევანის მთავარი ქუჩა—ევროპიული შენობებით, ნახჭევანი დღეს თავს იწონებს არა მარტო ახალი სახლებით, არამედ რამდენიმე ახალი უმაღლესი სასწავლებლით, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია ჯერ კიდევ ნორჩი პედაგოგიური ინსტიტუტი; ამ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები დიდი გულმოდგინებით, ენტუზიაზმით და სიყვარულით სწავლობენ თავიანთ სამშობლო ქალაქის წარსულს მათი ენერგიისა და მონდომების მეოხებით შესაძლებელია მოინახოს თანაგრძნობით გამსჭვალული პასუხი გონჩა ბეგუმისა ბარათაშვილის სატრფიალო სტროფებზე.

ი. ენიკოლოფაშვილი

ახალი შრომა ნ. ბარათაშვილზე

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი გიორგი აბზიანიძე მუშაობს ვრცელ მონოგრაფიულ ნაშრომზე „ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“.

ავტორმა უკვე დაასრულა თავისი შრომის პირველი ნაწილი—ბარათაშვილის ცხოვრება. პირველი ნაწილი რვა ნაბეჭდი თაბახის მოცულობისაა და შესდგება 18 თავისგან. წიგნში გამოყენებულია მრავალი ახალი მასალა.

შრომის მეორე ნაწილი მოიცავს პოეტის შემოქმედების მხატვრულ-იდეურ ანალიზს. მეორე ნაწილს ავტორი ახლო ხანში დაასრულებს.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ რადიანი, გ. ქიქოძე, ს. ჩიქოვანი, პ. წულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მაჩაბლის ქუჩა, № 13. ტელეფონი 3-47-10. **გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“.**
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.
უე 07373